სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან
№8 (316) ოქტომბერი, 2018 წელი



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა შეფასებების და უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის და განხილვის შემდგომ, მიიღეს გადაწყვეტილება ავტორიზაციის მოთხოვნებთან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სრული შესაბამისობის და ავტორიზაციის მინიჭების შესახებ მაქსიმალური შეფასებით, ასევე, დადებითად გადაწყდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხიც.

კონფერენციაზე – „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი – სამედიცინო განათლების 100 წელი საქართველოში" – სიტყვით წარდგა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (**Association for Medical Education in Europe -AMEE**) პრეზიდენტი, ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტრუდი რობერტსი. მან აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ შეცვალა პაციენტის მოვლის პრინციპები და მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და სამედიცინო სფეროს მუშაკები ორიენტირებული და ადაპტირებული იყვნენ აღნიშნულ სიახლეებთან.

გვ 2

2018 წლის 17-19 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ავსტრიის, გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთის და აშშ-ის ნამყვანი უნივერსიტეტების 27 პროფესორი ეწვია

გვ 3

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა თეთრი ხალათების ცერემონია. წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მეექვსე მიღების პირველსემესტრელებისთვის გამართულ თეთრი ხალათების ცერემონიის ღონისძიებასთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ეწვია წარმომადგენლობა 12 პროფესორის შემადგენლობით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, ემორის და პიტსბურგის უნივერსიტეტებიდან, გრეიდის მემორიალური ჰოსპიტლიდან.

გვ 4

წელსაც, სოხუმის დაცემიდან 25 წლისთავზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები, ომში დაღუპული სტუდენტების მშობლები, ოჯახის წევრები და მეგობრები, თსსუ-ის კურსდამთავრებულები – აფხაზეთის ომის ვეტერანები, ტრადიციულად, აფხაზეთის ომში დაღუპული სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების: გიორგი მირიტაძის, ილია მელაძის, ვასილ კილაძის, ნიკოლოზ ღიბრაძისა და რევაზ მუმლაძის სახელების უკვდავსაყოფად აღმართულ მემორიალთან შეიკრიბნენ.

გვ 7

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი — სამედიცინო განათლების 100 წელი საქართველოში

20 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია — „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი - სამედიცინო განათლების 100 წელი საქართველოში“. ღონისძიება მიეძღვნა სამედიცინო განათლების აქტუალურ საკითხებს, კერძოდ, XXI საუკუნის ექიმის მომზადებას და ამისთვის აუცილებელი კომპეტენციების შეძენას, დიპლომამდელი, დიპლომისშემდგომი მზადებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების გლობალურ და ეროვნულ სტანდარტებს, მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

კონფერენცია გახსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ. ღონისძიებაზე მოხსენებით — „როგორ მოვამზადოთ 21-ე საუკუნის ექიმები“ — წარდგა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (Association for Medical Education in Europe -AMEE) პრეზიდენტი, ლიდსის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ტრუდი რობერტსი. მან აღნიშნა, რომ ჯანდაცვის სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ შეცვალა პაციენტის მოვლის პრინციპები და მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და სამედიცინო სფეროს მუშაკები ორიენტირებული და ადაპტირებული იყვნენ აღნიშნულ სიახლეებთან.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ქალბატონ ტრუდი რობერტსს გადასცა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების დამადასტურებელი სერტიფიკატი (ეს საპატიო წოდება 2017 წელს მიენიჭა). ბატონმა ზურაბმა აღნიშნა: ,,სამედიცინო განათლების საკითხებში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ექსპერტის, პროფესორ ტრუდი რობერტსის, კონფერენციაზე ყოფნა ღონისძიებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. ვფიქრობ, მისი მოხსენება საპროგრამო იქნება ჩვენთვის“.

კონფერენციაზე მოხსენებებით წარდგნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, პროფესორი ზაზა ბოხუა, თსსუ-ის მედიცინის ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი რამაზ შენგელია, სამედიცინო განათლების, კვლევის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გაიანე სიმონია, თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თინათინ ჩიქოვანი, თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ირმა მანჯავიძე და თსსუ-ის საოჯახო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი გივი ჯავაშვილი.

კონფერენციაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა დისკუსია.

ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან ERASMUS+-ის ფარგლებში მოწვეული პროფესორების ლექციები თსსუ-ში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ERASMUS+-ის საერთაშორისო მობილობის ფარგლებში რუმინეთიდან ესტუმრა ტარგუ მურეშის მედიცინის და ფარმაციის უნივერსიტეტის უჯრედული ბიოლოგიის და მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი ენიკო ჰადუ ბარაბას სცილა (Mrs. Barabás- Hajdu Enikő Csilla MD; PhD) და პროფესორი ზოლტან იშტვან სცაბო (-Mr. Zoltan Istvan Szabo MD).

პროფესორმა ენიკო ჰადუ ბარაბას სცილამ თსსუ-ის მიკრობიოლოგიის დეპარტამენტში წაიკითხა ლექცია — „საშარდე სისტემის ინფექციები და ნაწლავური პარაზიტები“, ხოლო თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის თერაპიისა და კარდიოლოგიის დეპარტამენტში — „მულტირეზისტენტული ბაქტერიებით გამოწვეული შარდის სისტემის ინფექციების მკურნალობა მცენარეული ზეთით“.

ამავე დღეს პროფესორმა ზოლტან იშტვან სცაბომ წაიკითხა ლექცია: „ნანოტექნოლოგიები - წამლის მიზანმიმართული სისტემები“, ხოლო 27 სექტემბერს — „ქილარობის როლი ფარმაციაში“.

თსსუ-ის საპატიო დოქტორის, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი, ირმა კვიცარიძე, ვიზიტი თსსუ-ში

სექტემბერში ჩვენს უნივერსიტეტს ავსტრიის, გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთის და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების 27 პროფესორი ეწვია. 17 სექტემბერს პროფესორები დაესწრნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო წლის დაწყების აღსანიშნავ ღონისძიებას, ხოლო 18-19 სექტემბერს უცხოელმა პროფესორებმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები, თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკებში განახორციელეს კლინიკური აქტივობები, დაათვალიერეს თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა და თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყო თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი ირმა კვიცარიძე (ავსტრია).

ირმა კვიცარიძის ლექციამ – „სპინალური გლიობლასტომის მკურნალობა – შემთხვევა პრაქტიკიდან“ – დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც სტუდენტებში, ისე, აკადემიურ პერსონალში.

19 სექტემბერს თსსუ-ის საპატიო დოქტორი ირმა კვიცარიძე, ნეიროპედიატრიის კლინიკის პროფესორთან, სტეფანია ფოერსტერთან და რადიაციული თერაპიისა და რადიოონკოლოგიის კლინიკის პროფესორთან, ენტონი ჯეიმს სვინისთან, ერთად ეწვია თსსუ-ის გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკას, შეხვდა კლინიკის ადმინისტრაციასა და პერსონალს.

როგორც ირმა კვიცარიძემ აღნიშნა, უკვე 3 წელია არსებობს პროფესორ მანანა ქუთელიას სახელობის გაცვლითი პროგრამა ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკასა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს შორის. პროგრამის ფარგლებში, თსსუ-ის დიპლომამდელი განათლების და საექთნო-საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკების ახალგაზრდა ექიმები გადიან სტაჟირებას ინსბრუკის საუნივერსიტეტო კლინიკებში, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში ჩვენს უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, შემუშავდება ახალი და საინტერესო პროექტები.

საექთნო განათლების სფეროს საერთაშორისო წარმომადგენლები სტუმრად თსსუ-ში

2018 წლის 21 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს, სხვადასხვა ქვეყნიდან, საექთნო განათლების სფეროს წარმომადგენლები ესტუმრნენ.

საექთნო განათლების მიმართულებით გამოცდილების გაზიარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიზნით, პროფესიული პროგრამების კოორდინატორი, მედეა ჯღარკავა, შეხვდა მინესოტას უნივერსიტეტის საექთნო სკოლის პროფესორ მერი ჯო კრეიზერს. ასევე, აშშ-ის, გერმანიის, ირლანდიის, თურქეთის საექთნო განათლების სფეროს წარმომადგენლებს: რანიე ამენდეს, მაიკლ შენონის, სებაჰათ გოზუმს.

შეხვედრას ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლელა მასხულია, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ კილასონია, ასისტენტ - პროფესორი ანა ბოჟაძე და პროფესიული პროგრამების მდივანი ნინო თეზელაშვილიც ესწრებოდნენ.

თსსუ-ის ამერიკული პროგრამის წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი ატლანტაში, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში

2018 წლის 5 აგვისტოდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ამერიკული პროგრამის წარმომადგენლები ამერიკული პროგრამის დირექტორის, ეკა ეკალაძის, დირექტორის მოადგილის, ნინო თევზაძისა და სპეციალისტის, ნინო ზარდიაშვილის შემადგენლობით სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ემორის მედიცინის სკოლაში (ატლანტა, აშშ).

ვიზიტის ფარგლებში თსსუ-ის წარმომადგენლებმა სასწავლო პროცესის სხვადასხვა სფეროს დეტალური გაცნობის მიზნით გამართეს რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა: გორდონ ჩარჩვორდთან — ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანი სამედიცინო განათლების დარგში და სტუდენტების ხელშეწყობის სფეროში; მერი ჯო ლეკოვიჩთან — ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ჰემატოლოგიისა და ონკოლოგიის ასოცირებული პროფესორი, „გახდი ექიმის“ კურსის ინსტრუქტორი, კვლევის მოდულის ხელმძღვანელი; ლისა ბერნშტეინთან — ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის „გახდი ექიმის“ კურსის ხელმძღვანელი, მცირე ჯგუფის კოორდინატორების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი შინაგან მედიცინაში; ჯინა შენონთან — კლინიკური უნარ-ჩვევების დეპარტამენტი, ასისტენტ-დირექტორი, სამედიცინო განათლების სპეციალისტი; ჯენიფერ გადკინთან — მეანობა-გინეკოლოგიის კლერკშიფის ხელმძღვანელი, „გახდი ექიმის“ კურსის ერთ-ერთი კოორდინატორი, ასოცირებული პროფესორი; ალექსანდრე ისაკოვთან — გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი; ბრაიან მაკნალთან — გადაუდებელი მედიცინის კლერკშიფის განხორციელებაში ჩართული პროფესორი; კატერინ კიეფერთან — სამედიცინო განათლების პროგრამების ასისტენტ დირექტორი; კენ მობერგთან და ვიქტორ ფაუნდესთან — უჯრედული ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორები, მოდული — „ემბრიოლოგია, ქსოვილი, უჯრედი“ განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი; ზიად კაისთან — საერთაშორისო პოსტდიპლომური განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი სამედიცინო ტოქსიკოლოგიაში (გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტი).

თსსუ-ის ამერიკული პროგრამის წარმომადგენლები, ასევე, დაესწრნენ პროფესორი კენეტ ვოლკერის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, რომელიც ემორის უნივერსიტეტის მიერ იყო ორგანიზებული და რომლის დაგეგმვაში აქტიურად იყო ჩართული ქართული მხარეც. საღამოს ესწრებოდა ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის დეკანი ვიკას სუქათმე.

საერთაშორისო სიმპოზიუმი ონკოლოგიის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საერთაშორისო, ქართულ-ჩეხური სიმპოზიუმი ჩატარდა, რომელიც ონკოლოგიის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს კლინიკური ონკოლოგიის საზოგადოება, უნივერსალური სამედიცინო ცენტრი (ა. ღვამიჩავას ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი) და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ქართველი, ასევე, ჩეხი მომხსენებლები. ქალაქ ბრნოს მასარუკის მემორიალური ონკოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი ონკოლოგები, ამავე ინსტიტუტის დირექტორის, ჩეხეთის პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, პროფესორ იან ჟოლოუდეკის ხელმძღვანელობით.

სიმპოზიუმი გახსნა კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების დამფუძნებელმა, რემა ღვამიჩავამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ღონისძიების მიზანი ქართულ ონკოლოგიაში არსებული გამოწვევების გაანალიზება და ევროპული გამოცდილებისა და სტანდარტების გაზიარებაა.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხეთის რესპუბლიკაში, ბატონი ზაალ გოგსაძე; მასარიკის მემორიალური ონკოლოგიური ინსტიტუტის (ჩეხეთი) დირექტორი, პროფესორი იან ზალუდიკი; „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე; საქართველოში ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოს ატაშე ურთიერთობების განვითარების საკითხებში, იან ჩერნიკი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი რიმა ბერიაშვილი.

სიმპოზიუმის დასასრულს შედგა ჟურნალ „კლინიკური ონკოლოგიის“ ახალი ნომრის პრეზენტაცია.

მარათონი სიცოცხლის გადასარჩენად — ,,ვარდისფერი ოქტომბერი“

სარძევე ჯირკვლის კიბო 21-ე საუკუნის აქტუალური პრობლემაა, ყოველი წლის ოქტომბერი კი ამ პრობლემასთან ბრძოლის საერთაშორისო თვედ არის აღიარებული და „ვარდისფერ ოქტომბრად“ იწოდება. ძუძუს კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით არაერთი კამპანია ეწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომლის მიზანია, ცნობადობის გაზრდა ძუძუს კიბოს რისკების შესახებ, ინფორმაციის გავრცელება რეგულარული თვითშემოწმებისა და კიბოს სკრინინგის აუცილებლობაზე.

„ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში, 2018 წლის 7 ოქტომბერს, ქალთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის კავშირ „ჰერას“ ორგანიზებით, კუს ტბის ტერიტორიაზე გაიმართა ღონისძიება — „საქართველოს მარათონი სიცოცხლის გადასარჩენად“, რომელსაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიც შეუერთდა.

მარათონში მონაწილეობას იღებდნენ: თსსუ-ის ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, ირაკლი კოხრეიძე, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები და ადმინისტრაციის თანამშრომლები.

გარბენში, ვაჟების კატეგორიაში, პირველი ადგილი თსსუ-ის ჯანდაცვის ფაკულტეტის I სემესტრის სტუდენტმა, გიგი მაქაცარიამ, მოიპოვა.

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ტრადიციულად, უერთდება დაგეგმილ აქციებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ქალბატონებს, რომლებიც ებრძვიან და რომლებმაც დაამარცხეს ეს ვერაგი დაავადება“, — განაცხადა ვიცე-რექტორმა.

15 ოქტომბერს, აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერისტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის ორგანიზებით, გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით — „ერთად დავამარცხოთ ძუძუს კიბო“. სასწავლო კორპუსების ეზოში მოეწყო სპეციალური კუთხე, ვარდისფერი ბუშტებითა და თემატური ბანერით, სადაც სტუდენტებმა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს მსოფლიოს სოლიდარობა ძუძუს კიბოსთან ბრძოლაში.

თსსუ-ის თეატრალურ დარბაზში კი გაიმართა საჯარო ლექცია, რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა ირაკლი კოხრეიძემ წაიკითხა. აუდიტორიამ დიდი ინტერესით მოისმინა ინფორმაცია ძუძუს კიბოს პრევენციულ ღონისძიებებზე, გავრცელების სტატისტიკასა და დაავადებასთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდებზე.

ლექციის დასასრულს გაიმართა დისკუსია, რომელშიც თსსუ-ის სტუდენტები აქტიურად ჩაერთნენ.

ემოციური იყო „ევროპა დონა საქართველოს“ წარმომადგენლების გამოსვლა, რომლებმაც პრევენციისკენ მოუწოდეს ქალბატონებს.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია — ტკივილის მართვა სტომატოლოგიაში

ოქტომბრის დასაწყისში, ფარმაცევტული კორპორაცია RLIN-CHEMIE MENARINI-ის ინიციატივით, თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტისა და საქართველოს სტომატოლოგთა პროფესიული ასოციაციის მხარდაჭერით, გაიმართა ერთობლივი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია — ტკივილის მართვა სტომატოლოგიაში.

კონფერენციები ქობულეთსა და ქუთაისში ჩატარდა. ღონისძიებას დასავლეთ საქართველოს და აჭარის სტომატოლოგები დაესწრნენ. კონფერენციაზე წარდგნენ თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი მარინა მამალაძე, მოხსენებით: ,,ფარმაკოუსაფრთხოება — ახალი მონაცემები და დასკვნები ნიმესულიდზე“ და ასოცირებული პროფესორი ნ. ჭიპაშვილი, მოხსენებით — ,,ტკივილის მართვა 3 პრინციპი სტომატოლოგიაში - მკურნალობის სტრატეგია“.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე დღეს კონფერენციის მსვლელობაში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო პრაქტიკოსი სტომატოლოგები, არამედ კლინიკის ხელმძღვანელები და ბათუმისა და ქუთაისის უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო სკოლების აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და რეზიდენტები.

სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი ღონისძიება

წელს, გამორჩეულად განსხვავებული მიღება მოუწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ პირველსემესტრელებს. „თეატრალური დერეფანი“ სტუმრებს და თსსუ-ის ხელმძღვანელობას სცენაზე იწვევდა. სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების 27 ცნობილი პროფესორი.

სასიხარულოა, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონაცემთა საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად ჩარიცხული აბიტურიენტების საკონკურსო ქულების, როგორც საშუალო, ისე მაქსიმალური მაჩვენებლებით, თსსუ პირველ ადგილზეა ყველა სამედიცინო მიმართულების პროგრამაზე, როგორც სამედიცინო პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში, ისე მრავალპროფილური უნივერსიტეტების სამედიცინო პროგრამებზე ჩარიცხულთა მონაცემების მიხედვით. გასათვალისწინებელია, რომ თსსუ-ში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი წელს უპრეცედენტოდ მაღალი იყო, მიუხედავად ამისა, საკონკურსო მაჩვენებელი, პირველადი განაცხადების რაოდენობაზე დაყრდნობით, ერთ ვაკანტურ ადგილზე ყველა გამოცხადებულ პროგრამაზე შეადგენდა 2.0595-ს. ამ მაჩვენებლით თსსუ ლიდერია საქართველოში აკრედიტებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელს შორის.

საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სამედიცინო პროფილის მიმართულებებზე ჩარიცხულთა მაქსიმალური საკონკურსო ქულა – 2199,3 — თსსუ-შია დაფიქსირებული.

რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, შეკრებილ საზოგადოებას მიმართა: — „გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველას — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს და განსაკუთრებით — პირველსემესტრელებს, აკადემიურ პერსონალს, საუნივერსიტეტო კლინიკების თანამშრომლებს, ადმინისტრაციას. მადლობას გიხდით, რომ აირჩიეთ ჩვენი უნივერსიტეტი — ყველაზე მოთხოვნადი და წარმატებული უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. უმდიდრეს ტრადიციებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით, თქვენ მიიღებთ ცოდნას, რაც მომავალი პროფესიული საქმიანობის საწინდარია. სასიხარულოა, რომ ახლახან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ახალ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით. ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ზრუნავს იმისთვის, რომ ჯანდაცვის სფეროს მაღალკვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდეთ, თქვენზე ბევრია დამოკიდებული, თქვენ, თსსუ-ის საუკეთესო შევსება ბრძანდებით, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო მაჩვენებლებით მიაღწიეთ სასურველ შედეგს; მომავალი უფრო მეტს გავალებთ, წარმატებებს გისურვებთ, ჩვენ ერთად ყველაფერს შევძლებთ!“.

სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, ბატონმა არჩილ თალაკვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სტუდენტობა ადამიანის ცხოვრებაში არის საუკეთესო წლები და ურთიერთობები, ცოდნის შეძენა კი ცოცხალი პროცესია, რომელშიც, თქვენთან ერთად, პროფესორ-მასწავლებლებს გადამწყვეტი როლი აკისრიათ. „თსსუ-ის მნიშვნელოვანი უპირატესობა ის ტრადიციაა, რომელიც პარტნიორობის საფუძველზე პროფესორსა და სტუდენტს შორის ჩამოყალიბდა, რაც თსსუ-ის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს. თანამედროვე ტექნოლოგიები ყოველდღიურად ცვლის რეალობას, აჩქარებს პროცესებს, ხარისხიანი განათლების მიღება გადამწყვეტია, რადგანაც მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გაკისრიათ — ადამიანის სიცოცხლის დაცვა, რაც პარტნიორობის გარეშე წარმოუდგენელია, ისწავლეთ რის გაკეთებას შეძლებთ მარტო და, ამავე დროს, — სხვებთან ერთად. განათლება, დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრიორიტეტია. გონივრულად გამოიყენეთ სტუდენტური წლები შემდგომი წარმატებული საქმიანობისთვის“.

საზეიმო ღონისძიების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე. მან ისაუბრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სტანდარტების შესახებ, გამოთქვა სურვილი, რომ თითოეული სტუდენტი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდეს. „ხელისუფლების მიერ ჯანდაცვის სფეროში ჩადებული ინვესტიციები საშუალებას მოგცემთ, გახდეთ პროფესიონალები, დაეხმაროთ მეტ ადამიანს, რაც თქვენთვის ბედნიერების და შესაბამისი შემოსავლის მომტანიც იქნება“.

სტუდენტებს, განსაკუთრებით პირველსემესტრელებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე თევზაძემ. გამომსვლელმა ისაუბრა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტზე — უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაზე, რომელიც აუცილებელია თანამედროვე განათლების სისტემის განვითარებისთვის და რომელსაც თსსუ აქტიურად ახორციელებს: —„დღეს განსაკუთრებული დღეა საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი განათლების ისტორიაში — უმაღლესი განათლების ინსტიტუციონალიზაციიდან გავიდა 100 წელი და ჩვენ ამავდროულად აღვნიშნავთ საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების 100 წლის იუბილეს. განსაკუთრებულად მოგილოცავთ პირველსემესტრელებს, წარმატებისკენ სვლა დღესვე დაიწყეთ, რაშიც ხელს შეგიწყობთ ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, პროფესორ-მასწავლებლები, ადამიანების ჯანმრთელობის სამსახურში დგომა ყველაზე დიდი ჯილდოა“.

საზეიმო შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზაზა ბოხუა; ქალაქ თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარია; ლუბლინის (პოლონეთი) სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, ანჟეი დროფი; ემორის (აშშ) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანი, სამედიცინო განათლებისა და სტუდენტთა საქმეების დეპარტამენტის პროფესორი გორდონ ჩარჩვორდი; თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის (გერმანია) კაუფბოირენის ზოგადი, ვისცერალური და სისხლძარღვთა ქირურგიის კლინიკის დირექტორი, პროფესორი ჰეინრიხ შტიგლერი; თსსუ საპატიო დოქტორი, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის (გერმანია) ვაილჰაიმის ქირურგიული კლინიკის დირექტორი, პროფესორი რაინჰოლდ ლანგი; თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ბერლინის შარიტეს უნივერსიტეტის (გერმანია) კოტბუსის კლინიკის თავისა და კისრის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი თომას აიხორნი; ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის

(ავსტრია) თერაპიული რადიოლოგიისა და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი პიტერ ლუკასი; ლილიუ ჰატიეგანუს მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტის (რუმინეთი) ფარმაციის ფაკულტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიისა და ბიოფარმაციის დეპარტამენტის პროფესორი ლაურიან ვლასე; თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის (ავსტრია) რადიაციული თერაპიისა და რადიონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი ირმა კვიცარიძე; თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის (გერმანია) ფიურსტენფელდბრუკის კლინიკის ზოგადი და ვისცერალური ქირურგიის დეპარტამენტის უფროსი ექიმი გიორგი გრიგოლია; თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, ემორის უნივერსიტეტის (აშშ) მედიცინის სკოლის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი არჩილ უნდილაშვილი.

ექიმი გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგი პროფესორი არსენ გვენეტაძე განსაკუთრებული სიურპრიზით წარდგა, მან წარმოადგინა: — ცნობილი მოქანდაკის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის, ლევან ვარდოსანიძის, ბედნიერებისა და წიგნიერების სიმბოლოდ შექმნილი, ბრინჯაოს მონუმენტური ქანდაკების ესკიზი. ,,ბედნიერების მონუმენტის“ დამონტაჟება თსსუ-ის ადმინისტრაციული კორპუსის წინ იგეგმება.

პირველსემესტრელებს მიმართეს: თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნიკოლოზ გონგაძემ და დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის III სემესტრის სტუდენტმა, ნენსი ალამოვმა (აშშ).

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა, ანა კაკაბაძემ, სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა ათი ყველაზე რეიტინგული პირველსემესტრელი: თეკლე დოლიძე, დავით ფარცახაშვილი, ელენე მელიქიძე, ელენე შუბითიძე, გიორგი ოქროპირი, ჯონი უბრირა, ანა ციმაკურიძე, შოთა სილაგაძე, ნინო ნოზაძე, დათა ქებურია.

ყველაზე მაღალრეიტინგულ პირველსემესტრელს, თეკლე დოლიძეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ პერსონალური კომპიუტერი (ლეპტოპი) გადასცა.

საზეიმო შეხვედრის დასრულების შემდეგ, პირველსემესტრელებმა სასწავლო აუდიტორიებში გადაინაცვლეს. თითოეულ მათგანს ალბათ სულ ემახსოვრება ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის (ავსტრია) რადიაციული თერაპიისა და რადიონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმის, ირმა კვიცარიძის, დაუვიწყარი სიტყვები, რომლითაც პირველსემესტრელებს მიმართა: „ექიმობა არის პროფესია, რომელსაც საპენსიო ასაკი არ გააჩნია და აქვს მსოფლიოში ყველაზე ლამაზი უნიფორმა — თეთრი ხალათი, მას ღირსებით ტარება უხდება. გისურვებთ წარმატებებს და თქვენ მიერ არჩეული პროფესიის პასუხისმგებლობით და ღირსებით მსახურებას“.

მოამზადა მანანა ფხალაძემ

ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები თსსუ-ში

2018 წლის 17-19 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ავსტრიის, გერმანიის, პოლონეთის, რუმინეთის და აშშ-ის წამყვანი უნივერსიტეტების 27 პროფესორი ეწვია: ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიული რადიოლოგიისა და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი პიტერ ლუკასი (ავსტრია); რადიაციული თერაპიისა და რადიონკოლოგიის კლინიკის პროფესორი ენტონი ჯეიმს სვინი (ავსტრია); ნეიროპედიატრიის კლინიკის პროფესორი სტეფანია ფოერსტერი (ავსტრია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ინსბრუკის სამედიცინო უნივერსიტეტის რადიაციული თერაპიისა და რადიონკოლოგიის ცენტრის უფროსი ექიმი ირმა კვიცარიძე (ავსტრია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის კაუფბოირენის ზოგადი, ვისცერალური და სისხლძარღვთა ქირურგიის კლინიკის დირექტორი, ემერიტუსი პროფესორი ჰეინრიხ შტიგლერი (გერმანია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ვაილჰაიმის ქირურგიული კლინიკის დირექტორი, პროფესორი რაინჰოლდ ლანგი (გერმანია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ფიურსტენფელდბრუკის კლინიკის ზოგადი და ვისცერალური ქირურგიის დეპარტამენტის უფროსი ექიმი გიორგი გრიგოლია (გერმანია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ფიურსტენფელდბრუკის კლინიკის მთავარი ექიმი, ანესთეზიის და რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პრივატ/დოცენტი ფლორიან ვაისი (გერმანია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის გროსჰადერნის თერაპიული კლინიკის ვიცე-დირექტორი, ენდოკრინოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი კლაუს გეორგ პარჰოფერი (გერმანია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის, ლანდსჰუტის კლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე, სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პრივატ/დოცენტი, გიორგიოს მაიმარაკისი (გერმანია); თსსუ-ის საპატიო დოქტორი, ბერლინის შარიტეს უნივერსიტეტის კოტბუსის კლინიკის თავისა და კისრის ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფ. თომას აიხორნი (გერმანია); ბერლინის შარიტეს სამედიცინო უნივერსიტეტის კოტბუსის კარლ თიემის კლინიკის დირექტორი პროფესორი გოთზ ბროდერმანი (გერმანია); მიუნსტერის საუნივერსიტეტო კლინიკის, ზოსტის ნევროლოგიის დეპარტამენტის უფროსი ექიმი

ალექსეი დუშინი (გერმანია); ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ანჟეი დროფი (პოლონეთი); ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომისშემდგომი განათლების საკითხებში, პროფესორი ჰანნა ტრებაჩოი (პოლონეთი); ლილიუ ჰატიეგანუს მედიცინისა და ფარმაციის უნივერსიტეტის, ფარმაციის ფაკულტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიისა და ბიოფარმაციის დეპარტამენტის პროფესორი ლაურიან ვლასე (რუმინეთი); ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანი, სამედიცინო განათლებისა და სტუდენტთა საქმეების დეპარტამენტის პროფესორი გორდონ ჩარჩვორდი (აშშ); ემორის გრეიდის მემორიალური ჰოსპიტლის ინტერვენციული რადიოლოგიის პროფესორი შონ დარიუშნია (აშშ); ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის კლინიკური განათლების ასოცირებული დეკანი ჯოელ ფელნერი (აშშ); მორჰაუსის სამედიცინო სკოლის პულმონოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ერიკ ფლანო (აშშ); ემორის უნივერსიტეტის პროფესორი, ემერიტუსი დეკანი, ნათანიელ გოზანსკი (აშშ); პიტსბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის რადიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი ელიოტ გოზანსკი (აშშ); ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ვიცე-თავმჯდომარე, ჰემატოლოგიის და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი მერი ჯო ლეკოვიჩი (აშშ); მორჰაუსის სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი როლანდ მეთიუსი (აშშ); გრეიდის მემორიალური ჰოსპიტლის პათოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი გაბრიელა ოპრეა (აშშ); თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი არჩილ უნდილაშვილი (აშშ).

17 სექტემბერს მოწვეული პროფესორები შეხვდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს. შეხვედრაზე განიხილეს გაცვლითი პროგრამებისა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების საკითხები. თსსუ-ის სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს 2018/2019 სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. დაესწრნენ ფაკულტეტის დეკანების შეხვედრას პირველსემესტრელებთან. დაათვალიერეს თსსუ-ის საგამოცდო ცენტრი, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციების ცენტრი, ფარმაციის ფაკულტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორია, ფარმაციის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორია და პათოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო და დიაგნოსტიკური ლაბორატორია.

18-19 სექტემბერს, უცხოელმა პროფესორებმა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის წაიკითხეს ლექციები, თსსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკაში განახორციელეს კლინიკური აქტივობები, ასევე დაათვალიერეს თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო და გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკები.

თეთრი ხალათების ცერემონია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის თეთრი ხალათების ცერემონია გაიმართა.

გასული წლების მსგავსად, თეთრი ხალათების რიგით მეექვსე ცერემონია ამჯერადაც პომპეზური იყო.

ღონისძიება, 21 სექტემბერს, ტრადიციულად, თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ გახსნა და პროგრამის სტუდენტებს სამედიცინო საქმიანობაში ჩართვა მიულოცა.

ზურაბ ვადაჭკორია (თსსუ-ის რექტორი, პროფესორი):

„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად იქცა თეთრი ხალათების ცერემონია ამერიკული პროგრამის სტუდენტებისათვის. წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მეექვსე მიღებას ვეგებებით. საგანგებოდ ამ დღესთან დაკავშირებით უნივერსიტეტში მოწვეული გვყავს წარმომადგენელობა 12 პროფესორის შემადგენლობით ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, ემორის და პიტსბურგის უნივერსიტეტებიდან, გრეიდის მემორიალური ჰოსპიტლიდან. ღონისძიებაში, ტრადიციულად, მონაწილეობენ საპატიო სტუმრები საქართველოდან, მათ შორის ჩვენი საპატიო პარტნიორი -ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო საქართველოში, წელს წარმოდგენილი ელჩის მოვალეობის შემსრულებლის, ქალბატონ ელიზაბეთ რუდის მიერ. სწორედ მათთან ერთად აღვნიშნავთ თეთრი ხალათების საზეიმო ცერემონიით ყოველი ახალი სასწავლო წლის კვირეულში თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტების საექიმო საქმიანობაში ჩართვას“.

ახლადჩარიცხულ სტუდენტებს წელს სასწავლო წლის დაწყება, საპატიო სტუმრებთან ერთად, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რუდმა მიულოცა. მან აღნიშნა, რომ თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა ცდილობს საქართველოში სამედიცინო განათლების ხარისხი აამაღლოს.

ელიზაბეთ რუდი (საქართველოში აშშ ელჩის მოვალეობის შემსრულებელი):

„ამერიკის შეერთებული შტატები განათლების ხელშეწყობის კუთხით საქართველოს ძლიერი პარტნიორია, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო, ტექნოლოგიის, ინჟინერიის და მათემატიკის კუთხით. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში დღეს ჩვენ ვეგებებით მედიცინის ამერიკული პროგრამის სტუდენტებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა ამაღლებს სამედიცინო განათლების ხარისხს საქართველოში“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის დაწყების კვირეულისა და თეთრი ხალათების ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში თსსუ-ის მოწვევით იმყოფებოდნენ ამერიკელი პროფესორები.

პროფესორები: გორდონ ჩარჩვორდი, ზურაბ ვადაჭკორია და ქალბატონი ელიზაბეთ რუდი

პროფესორები: გორდონ ჩარჩვორდი და ზურაბ ვადაჭკორია

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

პროფესორები: რიმა ბერიაშვილი და გორდონ ჩარჩვორდი პროგრამის სტუდენტთან ერთად

სტუდენტებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის პროფესორებმა - ასისტენტ-დეკანმა გორდონ ჩარჩვორდმა, ჰემატოლოგიისა და ონკოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა მერი ჯო ლეკოვიჩმა, კლინიკური განათლების ასოცირებულმა დეკანმა ჯოელ ფელნერმა, ასევე, ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ემერიტუს-დეკანმა ნათანიელ გოზანსკიმ, გრეიდის მემორიალური ჰოსპიტლის (აშშ, ატლანტა) პათოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა გაბრიელა ოპრეამ, ინტერვენციული რადიოლოგიის პროფესორმა შონ დარიუშნიამ, მორჰაუსის სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა როლანდ მეთიუსმა, ამავე სკოლის პულმონოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ერიკ ფლანომ და პიტსბურგის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის რადიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა ელიოტ გოზანსკიმ.

თეთრი ხალათების საზეიმო ღონისძიებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს: მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის თეთრი ხალათი წარმატებული სამედიცინო კარიერისა და ექიმის შეუბღალავი ავტორიტეტის სიმბოლოს წარმოადგენს. დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის 2024 წლის გამოსაშვები კურსის ღონისძიებაზე მოწვეულმა საპატიო სტუმრებმა პროგრამის მეექვსე თაობის სტუდენტები ქართველ კოლეგებთან ერთად თსსუ-ისა და ამერიკული პროგრამის ემბლემიანი თეთრი ხალათებით შემოსეს.

ეკა ეკალაძე (თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, პროფესორი):

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა უკვე მეექვსე წელია, წარმატებით ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ, იძლევა შანსს არა მხოლოდ მსოფლიო სამედიცინო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სამედიცინო კადრის მომზადებისა, არამედ უზრუნველყოფს სტუდენტის აღჭურვას ყველა იმ უნარ-ჩვევით, რაც აშშ სალიცენზიო გამოცდების ჩასაბარებლადაა საჭირო. სწორედ ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლისა და თსსუ-ის ნაყოფიერი შრომის შედეგია ჩვენი პროგრამის ბოლოდროინდელი მიღწევები, რითაც ძალიან ვამაყობთ. ვულოცავთ ჩვენი სტუდენტების მეექვსე მიღებას სასწავლო წლის დაწყებას და საექიმო საქმიანობაში უდიდეს წარმატებებს ვუსურვებთ!“

ცერემონიაზე პროგრამის ხელმძღვანელებმა, თსსუ-ის ვიცე-რექტორმა, პროფესორმა რიმა ბერიაშვილმა და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორმა არჩილ უნდილაშვილმა თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის გასული 6 წელი მიმოიხილეს და მისი შედეგები შეაჯამეს: პროგრამამ პირველი სტუდენტები სწორედ 6 წლის წინ მიიღო. ისინი სწავლას თსსუ-ში 2019 წელს დაასრულებენ.

რიმა ბერიაშვილი (თსსუ-ის ვიცე-რექტორი, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი):

„უნივერსიტეტი ყოველთვის საზეიმოდ აღნიშნავდა ხოლმე კურსდამთავრებულთა ცერემონიას. თეთრი ხალათების საზეიმოდ ჩაცმის ცერემონიალი საქართველოსთვის ჩვეულებრივი ამბავი არ იყო. ვფიქრობ, რომ ეს არის არაჩვეულებრივი ახალი ტრადიცია, რომელიც პირველი დღიდან აზიარებს სტუდენტს თავის პროფესიას და აფიქრებს იმაზე, თუ რა პროფესიის წარმომადგენელია ამიერიდან, თუ რა ახალ ვალდებულებებს აკუთვნებს მას თეთრი ხალათი, თუ როგორი პასუხისმგებლობა ეკისრება მას ადამიანებთან ურთიერთობაში. ვულოცავთ მათ ამ მნიშვნელოვან დღეს და ვუსურვებთ სამედიცინო განათლების მიღებაში წარმატებებს!“

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია და ქალბატონი ელიზაბეთ რუდი პროგრამის სტუდენტთან ერთად

არჩილ უნდილაშვილი (თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი, ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების დირექტორი):

„ჩვენს პროგრამაში ტრადიციად იქცა თეთრი ხალათების ცერემონია - ასე ეგებებიან და გზას ულოცავენ ამერიკული პროგრამის პირველსემესტრელებს არა მხოლოდ უნივერსიტეტი და პროგრამის ადმინისტრაცია, არამედ პროგრამის მუდმივი მხარდამჭერები, მათ შორის საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, საქართველოში ვოლტერ რიდის სამეცნიერო ცენტრის, ემორის უნივერსიტეტის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები. დღეს ჩვენ აღვნიშნავთ და ვეგებებით დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის მეექვსე მიღებას. დღევანდელ დღეს თაობა, რომელიც სწავლას დაამთავრებს 2024 წელს, შეიმოსება თეთრი ხალათებით ჩვენი ძალიან წარმატებული საერთაშორისო და ადგილობრივი სტუმრების და პროფესორ-მასწავლებლების მიერ. მოხარულნი ვართ თსსუ-ის ამერიკული პროგრამის განვითარებითა და წინსვლით. წლიდან წლამდე იზრდება მოთხოვნა საქართველოში ამერიკულ პროგრამაზე სწავლის მსურველთა მხრიდან ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა ამერიკა, კანადა, ისრაელი და ა.შ.. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლა ამაყობს მიღწეული შედეგით. ვულოცავთ პროგრამის პირველსემესტრელებს ამ მნიშვნელოვან დღეს და ვუსურვებთ, წარმატებით ევლოთ ამ გზაზე, - ისინი შეუერთდნენ სტუდენტთა უძლიერეს ოჯახს დიდი პერსპექტივით.“

არჩილ უნდილაშვილი — თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ეკა ეკალაძე და ერიკ ფლანო პროგრამის სტუდენტთან ერთად

ქალბატონი ელიზაბეთ რუდი და ბატონი ზურაბ ვადაჭკორია საზეიმო ტორტის გაჭრისას

2018 წლის თეთრი ხალათების საზეიმო ცერემონიას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან და უცხოელ სტუმრებთან ერთად, თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის სტუდენტები, მათი მშობლები და მეგობრები დაესწრნენ.

პაატა კურტანიძე („ავერსის“ დამფუძნებელი):

„ჩემი უფროსი ოთხი შვილიდან ოთხივე სწავლობს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. რა თქმა უნდა, პირველი შვილის სწავლით კმაყოფილი ვიყავით, ამიტომ ჩააბარა მეორემ, მესამემ და წელს უკვე მეოთხემ ამერიკულ პროგრამაზე. იმედი მაქვს, რომ ოთხივე მათგანი მომავალში ღირსეული და წარმატებული ექიმები იქნებიან“.

წელს დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის შექმნაში შეტანილი წვლილისა და მისი უწყვეტი მხარდაჭერისათვის პროგრამის ჯილდო ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლას მიენიჭა. ჯილდო ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასისტენტ-დეკანს გორდონ ჩარჩვორდს გადაეცა. თეთრი ხალათების ცერემონიის ბოლოს თსსუ-ის რექტორმა ზურაბ ვადაჭკორიამ აშშ ელჩის მოვალეობის შემსრულებელთან, ელიზაბეთ რუდთან ერთად საზეიმო ტორტი გაჭრა. დასასრულს, ახლადჩარიცხულმა სტუდენტებმა სტუმრებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს.

დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე ემორის უნივერსიტეტის (აშშ, ატლანტა) ხელშეწყობით 2013 წლიდან ფუნქციონირებს. სასწავლო პროგრამა ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კურიკულუმზეა დაფუძნებული. პროგრამის სტრუქტურა უადვილებს სტუდენტებს სწავლის პროცესშივე ჩააბარონ აშშ სამედიცინო ლიცენზირების გამოცდის (USMLE) ორივე საფეხური ეტაპობრივად და საშუალებას აძლევს კლინიკური გამოცდილება მიიღონ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ მხრივ პროგრამას უკვე აქვს წარმატება.

2018 წელს პროგრამაზე სწავლა 90-მდე სტუდენტმა დაიწყო, მათგან 25 საქართველოს მოქალაქეა.

ნინი ზარდიაშვილი,
თსსუ-ის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი

მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი — 2018

2018 წლის 22 სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ გაიხსნა „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი-2018“; ინოვაციური პროექტების გამოფენაზე თსსუ-ის კუთხე წარმოდგენილი იყო უნივერსიტეტის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შემუშავებული ორიგინალური სამკურნალო პრეპარატებითა და თსსუ-ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ახალი ინფრანითელი სპექტროსკოპით, რომელიც სპორტსმენთა კუნთოვანი ქსოვილის ოქსიგენაციის მონიტორინგისთვის გამოიყენება.

24 სექტემბერს, თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ლუიზა გაბუნიამ, წარმოადგინა ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს — „სამეცნიერო კვლევის საფუძვლები და უნარ-ჩვევების“ — განხილვა. წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის, ასევე — ნაშრომი გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს, ასევე, გამოცდილი მკვლევრებისთვისაც და პრაქტიკულ საქმიანობაში დაეხმარება კლინიცისტებს.

სახელმძღვანელო რიგით მეორეა, შექმნილი სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის თანამშრომლების (ლ. გაბუნია, შ. ხეცურიანი, ნ. გამყრელიძე) მიერ. ის სტუდენტებს მისცემს კვლევის უნარების და ძირითადი მახასიათებლების ათვისების, განვითარების და დახვეწის საშუალებას.

ვორქშოპის ფარგლებში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის პედაგოგებმა გააკეთეს პრეზენტაციები შემდეგ საკითხებზე: „ადამიანის მონაწილეობით მიმდინარე კვლევის ძირითადი პრინციპები და ეთიკის საკითხები“ (შორენა ხეცურიანი, თსსუ-ის მიკრობიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის უფროსი სპეციალისტი); „ცხოველებზე ჩატარებული კვლევის ეთიკის საკითხები“ (ლუიზა გაბუნია, თსსუ-ის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის დირექტორი); „აკადემიური პატიოსნება და პლაგიატიზმი“ (ნათია გამყრელიძე, თსსუ-ის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის უფროსი სპეციალისტი); „მეცნიერული პროდუქტიულობის განმსაზღვრელი მაჩვენებლები“ (ლონდა რუხაძე, თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის მოწვეული პედაგოგი); „სამეცნიერო-მონაცემთა ბაზები და მეცნიერული პროდუქტიულობის მაჩვენებლების გაუმჯობესების გზები“ (თამარ ხახუტაშვილი — თსსუ-ის ბიბლიოთეკის დირექტორი); „სტატისტიკური პროგრამის — SPSS-ის მოხმარების წესები კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზისთვის“ (ხატია ანთია, თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის მოწვეული პედაგოგი); „როგორ ჩავატაროთ მეტაანალიზი და სისტემური მიმოხილვა” (ნათია ანთია, თსსუ-ის სამეცნიერო უნარ-ჩვევების ცენტრის მოწვეული პედაგოგი).

24 სექტემბერს, ჩატარდა მასტერკლასი — „პირველადი სამედიცინო დახმარება — სიცოცხლის გადასარჩენად“. ღონისძიება გაიმართა თსსუ-ის კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრისა და ქართველ მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის მხარდაჭერით. შეირჩა სხვადასხვა აქტივობები — გადაუდებელი დახმარების ძირითადი პრინციპები, ბაზისური სასიცოცხლო ალგორითმი, სისხლდენების შეჩერება, ნაკერის დადება ჭრილობაზე და ა.შ.

25 სექტემბერს, საქართველოს მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ორგანიზებით, მოეწყო მასტერკლასი — **„ქირურგიული კვანძების დადება ხელით და ინსტრუმენტების საშუალებით“**. მოხსენებებით წარდგნენ: თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის სისხლძარღვთა ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ირაკლი ფოფხაძე, თემით – „კლინიკური უნარ-ჩვევების კურსი — ქირურგიული მანიპულაციები“; ასევე — გიორგი ჩილინგარაშვილი, IEMSA საქართველოს ნაციონალური ოფიცერი — „სამედიცინო განათლება და კარიერა აშშ-ში.

მასტერკლასში ჩართულნი იყვნენ თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები და თბილისის 28-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები.

25 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი — 2018“-ის ფარგლებში, თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, **პროფესორმა მარინა მამალაძემ,** წაიკითხა საჯარო ლექცია — „კბილთა ტრავმებისა და მასთან დაკავშირებული ესთეტიკური პრობლემების რაციონალური მართვა“.

ლექცია განსაზღვრული იყო მსმენელთა ფართო აუდიტორიისთვის. აღინიშნა, რომ პრობლემა, თანაბრად აღელვებს სტომატოლოგიის ყველა სპეციალობის წარმომადგენელს და მომავალში, ასევე, გასათვალისწინებელი იქნება დამწყები სტომატოლოგებისა და სტუდენტებისთვის.

პრეზენტაციის კონკრეტული თემატიკა ტრავმებით დაზიანებულ კბილთა ესთეტიკური რესტავრაცია იყო. პროფესორი მ. მამალაძე დეტალურად შეეხო ენდოდონტიური მკურნალობის ესთეტიკას, ესთეტიკური ენდოდონტიის როლსა და მნიშვნელობას, მის გავლენას კბილთა რესტავრაციის ხარისხზე.

პრეზენტაცია საინტერესო კლინიკური შემთხვევების განხილვით დასრულდა.

26 სექტემბერს, ჩატარდა მასტერკლასი — „თანამედროვე მიღწევები და გამოწვევები ოპერაციულ ოდონტოლოგიასა და ენდოდონტიაში“. ღონისძიებას ესწრებოდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის სხვადასხვა სემესტრის სტუდენტები.

მასტერკლასი წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის ოდონტოლოგიის დეპარტამენტმა. ნელსაც, ოდონტოლოგიის დეპარტამენტმა, კლინიკის რეზიდენტებთან ერთად, პრაქტიკული აქტივობებით გამდიდრებული, ინფორმაციული შოუ მოაწყო.

26 სექტემბერს თსსუ-ის აპოლონ ურუშაძის სახ. სტომატოლოგიის კლინიკის ბავშვთა სამსახურმა თსსუ-ში ჩაატარა მასტერკლასი — „პირის ღრუს სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა ბავშვთა და მოზარდთა ასაკში“, სადაც ბავშვთა და მოზარდთა თერაპიული სტომატოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, **ნანა ყიფიანმა,** წაიკითხა ლექცია. ღონისძიების ფარგლებში, ქალბატონი ნანა ყიფიანის ხელმძღვანელობით და კლინიკის რეზიდენტების ჩართულობით, საინტერესო სანახაობა მოეწყო — ყველა მსურველს ჰქონდა საშუალება, შეესრულებინა მისთვის საინტერესო სტომატოლოგიური მანიპულაცია.

26 სექტემბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა ვორქშოფი: — „ხელოვნური ინტელექტის (Face2Gene) გამოყენება იშვიათი დაავადებების დიაგნოსტირებაში“. ვორქშოფის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, თინათინ ტყემალაძემ, წაიკითხა ლექცია, განკუთვნილი სკოლის მოსწავლეებისთვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 7 18 01275121 04/10/2018

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
რექტორს ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას

ბატონო ზურაბ,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელით მადლობა გადიხადეთ და მიგაღოთ გადაუდებელი თანხმობა ... 2018 წლის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში ... ფაქტორი მონაწილეობისა და საინტერესო ღონისძიებების ორგანიზებისთვის.

ვინაფილან, რომ ჩვენი თანამშრომლობა მოისურვა გაგრძელდეს მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის ფარგლებში. სადაც მეცნიერი ახალგაზრდებისა და ფართო საზოგადოების ყურადღებას ინოვაციური პროექტებია და თანამედროვე მიღწეული მეცნიერებისა და ტექნოლოგიებს.

გულითადი წარმატებებს სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობაში.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე ოფროზან ოდელაშვილი

თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროდან მადლობის წერილი მიიღო მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში მონაწილეობისა და საინტერესო ღონისძიებების ორგანიზებისთვის

27 სექტემბერს, „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი — 2018“ ფარგლებში, **თსსუ-ის ივ. თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების** ეგიდით, ჩატარდა სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია — „მედიცინის აქტუალური საკითხები, ინოვაციები და პერსპექტივები“. კონფერენციაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს მიმოხილვითი მოხსენებები თანამედროვე მედიცინის მიღწევების, ინოვაციების და პერსპექტივების განხილვით. გამოვლინდა საუკეთესო მოხსენებები, რომელთა ავტორები — მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები — ელენე ბერიძე (VI სემესტრი), გიორგი ბელთაძე (IV სემესტრი), გიორგი გოგიტიძე (VIII სემესტრი), შესაბამისი სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ.

28 სექტემბერს თსსუ-ში, **ფარმაცევტული ფაკულტეტის ორგანიზებით,** რიგით მე-14 კონფერენცია გაიმართა. ფაკულტეტის სტუდენტებისა და სკოლების მოსწავლეებისთვის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ფარმაციის მეცნიერებათა დოქტორმა, **პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ**, წაიკითხა საჯარო ლექცია — „ჭკვიანი წამალი“. ლექციის თემას წარმოადგენდა წამლის დამზადების თანამედროვე მიდგომები და ტექნოლოგიები. მომხსენებელი აუდიტორიას ესაუბრა წამლის შექმნის პროცესში ფარმაცევტის როლის შესახებ, გააცნო წამლის მიმართ არსებული თანამედროვე მოთხოვნები, რასაც წამლის ხარისხი, ეფექტურობა, უსაფრთხოება და კომფორტი ხარმოადგენს. ამასთან, პროფესორი ა. ბაკურიძე ახალგაზრდებს ესაუბრა თსსუ-ის საერთაშორისო კონტაქტების შესახებ და აღნიშნა, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლისას მათ ექნებათ საშუალება, ეზიარონ ევროპული ხარისხის განათლებას.

დასასრულს, **პროფესორმა დალი ბერაშვილმა,** თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დეკანმა, აღნიშნა, რომ ფაკულტეტი მზადაა, განახორციელოს ყველა ის აქტივობა, რომელიც სტუდენტის განვითარებას და ახალი ცოდნის მიღებას ემსახურება.

ღონისძიების ფარგლებში, პროფესორმა დ. ბერაშვილმა, ასევე, ჩაატარა პრაქტიკული მასტერკლასი და მოაწყო „სამეცნიერო შოუ“, რომლის დროსაც ახალგაზრდები გაეცვნენ ფაკულტეტის დეპარტამენტების მუშაობის სპეციფიკას და მიიღეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გზას გადის წამალი ბუნებრივი ნედლეულიდან მის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე.

ფესტივალის ფარგლებში თსსუ-ის სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, **პროფესორმა ბესარიონ კილასონიამ,** წაიკითხა საჯარო ლექცია „პორტრეტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, რომელიც თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გამოყენებით, პოეტის პორტრეტის რეკონსტრუქციას ეძღვნებოდა.

პროფესორმა ბ. კილასონიამ წამოჭრა საკითხი ნ. ბარათაშვილის თავის ქალას მიხედვით მოხდეს პოეტის პორტრეტის რეკონსტრუქცია, რომელიც ზუსტად ასახავს პოეტის სახეს.

მომხსენებელმა პოეტის შესახებ მოგონებებიდან შეკრიბა სიტყვიერი პორტრეტები, შეეცადა შეექმნა პოეტის ფსიქოლოგიური პორტრეტი და მისი დების ფოტოსურათების დახმარებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკურ ლაბორატორიაში შექმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი.

პირველ ოქტომბერს საზეიმოდ დაიხურა „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი — 2018“. ფესტივალის ფარგლებში 500-ზე მეტი აქტივობა გაიმართა. ფესტივალში აქტიურად იყო ჩართული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელმაც 16 ღონისძიება წარადგინა, მათ შორის, — სამეცნიერო და შემეცნებითი, ასევე, მოეწყო გამოფენები, საჯარო ლექციები, კონფერენციები, ტრენინგები, მასტერკლასები და ა.შ. ფესტივალზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — ღვაწლმოსილ ქართველ მეცნიერებს სერტიფიკატები გადაეცათ. დაჯილდოებულთა შორის არიან — თსსუ-ის ემერიტუსი პედაგოგები — **ქალბატონი თინათინ ბუკია და ბატონი ირაკლი მეგრელაძე.**

ჩვენი ძირითადი მიზანია ინოვაციური პროექტების დანერგვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების და მეცნიერების უმთავრესი კერაა, სადაც თავმოყრილია ქვეყნის სამედიცინო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების საუკეთესო ნაწილი და თსსუ-ის მძლავრი, სამედიცინო პოტენციალისა და გამოცდილების მქონე პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელსაც ამჯერად ახალგაზრდა და წარმატებული გენერალური დირექტორი მართავს.

ლევან რატიანი – მედიცინის აკადემიური დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივესიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანესთეზია-რეანიმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობით, აკადემიური და ტექნიკური პერსონალის ძალისხმევით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, 2015 წლის 25 მარტს დაარსდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილიანი პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომლის მთავარ პრიორიტეტად სტუდენტთა განათლების დონის ამაღლება, მათთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლება და კლინიკური გამოცდილების გაზიარება განისაზღვრა.

ჩვენი დევიზი –„ტრადიციებით მომავლისკენ“, სათანადო მაღალი სტანდარტის სამედიცინო და საგანმანათლებლო ბაზის გარეშე, წარმოუდგენელია; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა სამედიცინო ნოვაციების დანერგვის ადგილია. „საუნივერსიტეტო“ – მხოლოდ ჟღერადი სიტყვა როდია; ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა, რადგან სწორედ აქ ხდება, ერთი მხრივ, მომავალი ექიმების ჩამოყალიბება, მეორე მხრივ – პაციენტების დიაგნოსტიკა და მკურნალობა მაღალი დონის გაიდლაინებისა და პროტოკოლების მიხედვით.

თსსუ-ის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა ორიენტირებულია საერთაშორისოდ აღიარებული მტკიცებითი მედიცინის სტანდარტებით მომსახურებაზე. ესაა 145 საწოლზე გაშლილი თანამედროვე, მაღალი სტანდარტის სადიაგნოსტიკო, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტაციონარი, სადაც მოღვაწეობენ საქართველოსა და უცხოეთში აღიარებული პროფესორები, მედიცინის სხვადასხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც, მომავალი სამედიცინო კადრის აღზრდის პარალელურად, მაღალკვალიფიციურ და ხარისხზე ორიენტირებულ საექიმო მომსახურებას უწევს მოსახლეობას.

მოგეხსენებათ, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, თუ რაოდენ დიდი კონკურენციაა სამედიცინო სექტორში; მიმაჩნია, რომ ბაზარზე ნიშას დამკვიდრებისა და განმტკიცებისთვის გადაუდებელ ნაბიჯს წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და ინოვაციების დანერგვა.

უახლოესი მომავლისთვის კლინიკაში დაგეგმილია ევროსტანდარტებით აღჭურვილი რეანიმაციის განყოფილების გახსნა 20 საწოლზე; ანგიოქირურგიული დეპარტამენტის მაღალტექნოლოგიური მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა; ენდო-ვასკულარული და თრომბოლიზური ინტერვენციის დანერგვის მიზნით, კარდიოლოგიური სამსახურის სრული სერვიზით მიწოდება (კარდიოლოგია, ინტერვენციული კარდიოლოგია, არითმოლოგია და კარდიოქირურგია, მწვავე და მცირე ინვაზიური ქირურგიული მიმართულების ჩამოყალიბება და განვითარება); ბარიატრიული და ტრანსპლანტოლოგიის მიმართულების დანერგვა, სისხლისა და რძის ბანკის შექმნა. 2019 წლისათვის, ასევე, დაგეგმილია პერინატალური ცენტრის შექმნა, რომელიც განახორციელებს ორსულთა ანტენატალურ მეთვალყურეობას, მესამე დონისთვის შესაბამის ორსულთა, მშობიარეთა, მელოგინეთა და ახალშობილთა ინტენსიურ-რეანიმაციულ მკურნალობას.

ზოგადად, მიმაჩნია, რომ როცა მრავალპროფილური კლინიკა ორიენტირებული იქნება სამედიცინო დახმარების მაღალ ხარისხზე, ადმინისტრაციის მარკეტინგული გათვლების თანხვედრით, შესაძლებელია კლინიკა გახდეს, წარმატებული და ფინანსურად მომგებიანი; აღნიშნულს ამყარებს ის სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მოქალაქეების ჯანდაცვის უზრუნველყოფისა და დაზღვევის მიმართულებით ხორციელდება.

ჩვენი ძირითადი მიზანია ინოვაციური პროექტების დანერგვა, შედეგზე ორიენტირებული ხარისხიანი მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბება, სამედიცინო ხარისხის მუდმივი და სისტემური გაუმჯობესება, გუნდური პრინციპებით შედეგების ოპტიმიზაცია, უსაფრთხო გარემოს შექმნა, როგორც სამედიცინო პერსონალისთვის, ისე პაციენტისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს სამედიცინო ბაზარზე გავხდეთ სასტანდარტო კლინიკა და უფრო კონკურენტული ვიდრე დღეს.

სახელოვანი კურსდამთავრებული

რევაზ ბოჭორიშვილმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი დაასრულა. ახლა იგი საფრანგეთის ენდოსკოპიური ქირურგიის საერთაშორისო სასწავლო ცენტრის დირექტორია, ამასთან, აღიარებული ქირურგი ენდოსკოპისტი, ურთულესი ოპერაციული ჩარევებით რომ მხსნელად ევლინება გინეკოლოგიური პრობლემის მქონე ასობით პაციენტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში... რამდენიმე ხნის წინ, იგი, ჩვეულებისამებრ, სამშობლოს ესტუმრა, სიყვარულისა და მონატრების ნიშნად და კიდევ – იმ შინაგანი პასუხისმგებლობის აღსასრულებლად, რაც ალბათ დაუწერელ კანონადაა მის ცნობიერებაში აღბეჭდილი... ისევ ურთულესი ოპერაციები და მომლოდინე პაციენტები, თმენითა და იმედით რომ შეჰყურებენ სახელოვან თანამემამულეს უცხოეთიდან... ჩვენთვისაც გამონახა დრო და საუბარიც შედგა, იმედიანი საუბარი, რომ მონდომებისა და საქმის სიყვარულით აქაც ბევრი პრობლემა დაიძლევა, უფრო წარმატებული გახდება მედიცინა ჩვენში და რომ ჩვენი სტუდენტებიც თავისუფლად გაიკვლევენ გზას ქართველი პროფესორისკენ, რომელიც არას დაიშურებს მათ მაღალპროფესიონალებად გასახდომად.

– გზა უცხოეთისკენ შეიძლება მოულოდნელობებით არ იყო აღსავსე, თუმცა, მისი გაკაფვა ნამდვილად არ იქნებოდა იოლი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ევროპაში დამკვიდრება, თანაც – წარმატებული კარიერის პერსპექტივით, ალბათ წარმოუდგენლად რთული იყო საბჭოთა სინამდვილეში ჩამოყალიბებული ნებისმიერი მოქალაქისთვის, მით უფრო – ახალგაზრდა ექიმისთვის. თქვენ ეს შეძელით. საინტერესოა, როგორი იყო პირველი ნაბიჯები.

— საფრანგეთში 1993 წელს წავედი სასწავლებლად – ლაპაროსკოპიის ასათვისებლად და იქ სამუდამოდ დარჩენაზე მაშინ არც მიფიქრია. საოპერაციოდან და სასწავლო ცენტრიდან არ გამოვდიოდი... ექვსთვიანი სტაჟირების ბოლოს, შემომთავაზეს ამდენივე ხნით, შემდგომ კიდევ ერთი წლით დარჩენა. ამ პერიოდში დავიწყე დამოუკიდებლად ოპერაციების კეთება, სასწავლო ცენტრში ლექციების კითხვა და საჭირო გახდა ჩემი ოფიციალური სტატუსის შეცვლა, რისთვისაც საჭირო იყო გამოცდების ჩაბარება, რათა ექიმის დიპლომით დამემტკიცებინა მოქალაქეობის მიღება, ვინაიდან საფრანგეთში მუდმივი სამუშაო კონტრაქტი მხოლოდ მოქალაქეობის მქონე პირებს აქვთ. სწორედ ეს მუდმივი კონტრაქტი შემომთავაზეს, რაზეც 90-იანი წლების საქართველოდან ჩასულ ახალგაზრდა ექიმს მანამდე არც კი მიოცნებია. არ ყოფილა ეს გზა არც მარტივი და არც სწრაფი, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ის უსაშველოდ ძნელი და დამღლელი გამოდგა. რაც მთავარია, საფრანგეთში წასვლამდე ფრანგულად უკვე ვლაპარაკობდი. სწავლა და შრომა არასდროს მაშინებდა, ასე გამზარდეს მშობლებმა, ადაპტაციის, უპრეტენზიულობისა და მოთმენის უნარი ჩამინერგეს ბავშვობიდან. ვერც იმას ვიტყვი, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მიღებული ცოდნაც დიდ გადახედვას საჭიროებდა. ცხადია, ზოგ საკითხში საჭირო გახდა ცოდნის განახლება, სერიოზული მომზადება, მაგრამ საერთო ბაზა საკმაოდ სოლიდური აღმოჩნდა; დიდი კულტურული შოკიც არ განმიცდია და გამოცდების ჩაბარებაც არ გამჭირვებია; გარემომაც გამიმართლა – მოვხვდი მსოფლიოში ცნობილ ცენტრში, სადაც ძალზე გახსნილი, მხარში ამომდგომი პროფესიონალები მუშაობდნენ; ახალი იდეები, ახალი ტექნიკა, მანამდე არსად შესრულებული ოპერაციები აქ, კლინიკაში, იბადებოდა და ამ ხალხის გვერდით ყოფნა, ასისტენტობა, სამეცნიერო კვლევებში მათთან ერთად მონაწილეობა ჩემთვის უდიდეს სტიმულს წარმოადგენდა, რაც ამ პერიოდის ბუნებრივ სირთულეებს ანეიტრალებდა. მაშინ კლერმონ-ფერანის კლინიკას ხელმძღვანელობდა პროფესორი მორის ბრიუა, მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტი, ლაპაროსკოპიული გინეკოლოგიის მიმართულების შემქმნელი, ქარიზმატული ლიდერი, დიდი ჰუმანისტი. მისი დახმარება და მუდმივი მხარდაჭერა ჩემი კარიერისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა. მეც თავი არ დამიზოგავს, ვცდილობდი, მაქსიმალურად გამემართლებინა ნდობა. უმცირესი და „შავი“ სამუშაო არასდროს მითაკილია. ალბათ ამ ყველაფრის წყალობით, ძალიან მალე მოხდა ჩემი ინტეგრირება და კლერმონ-ფერანის „საოცნებო გუნდის“ სრულუფლებიანი წევრი გავხდი.

– მშობლები – ქალბატონი მედეა ბარამიძე და ბატონი გიორგი ბოჭორიშვილი – ქართული სამედიცინო ელიტის ბრწყინვალე წარმომადგენლები გახლდნენ. ბატონი გოგი – საყოველთაოდ აღიარებული ქირურგი – ექიმი დიდი ერუდიციით და ღრმა პრაქტიკული ცოდნა-გამოცდილებით, თითქმის ყველა ქართველი მედიკოსის მასწავლებელი – როგორ უყურებდა თქვენს „გაუცხოელებას“, რამდენად ხშირი კოლეგიალური ურთიერთობა გქონდათ მამასთან, ღებულობდით თუ არა მისგან რჩევებს?

— აღზრდის მთავარი მეთოდი ჩვენს ოჯახში პირადი მაგალითი გახლდათ და მთავარი, რასაც შვილები მუდმივად ვხედავდით, ეს იყო წესიერება, ადამიანობა, შრომისმოყვარეობა, უპრეტენზიობა. დედა ჩუმი, უაღრესად ნიჭიერი და განათლებული ადამიანი გახლდათ და ძალზე მომთხოვნი, სამართლიანად მომთხოვნი. თუნდაც, ის, რომ ფრანგული ბავშვობიდან ვისწავლე, დედას დამსახურებაა. მამასგან, როგორც ქირურგისგან, ბევრი რამ ვისწავლე, თუმცა, ერთად თითქმის არ გვიმუშავია. ბევრი მისი პროფესიული რჩევა დღემდე მახსენდება და მეხმარება კიდევაც. მამა ცნობილი იყო, როგორც ვირტუოზი ქირურგი, უზადო დიაგნოსტიკოსი და კლინიცისტი. ცხადია, მინდოდა მას დავმსგავსებოდი და ბევრი რამ მისგან, მისი პირადი მაგალითიდან შევითვისე, ავადმყოფთან ურთიერთობა, კლინიკური დაკვირვების და, ზოგადად, კლინიკური აზროვნების საფუძვლები, სწორედ მისგან შევიძინე. დღესაც, აქ, როდესაც სტუდენტებთან, რეზიდენტებთან ვურთიერთობ, ვასწავლი, რომ მთავარი პაციენტის მოსმენა, გასინჯვაა და არა მხოლოდ სხვადასხვა სახის გამოკვლევაზე მინდობა. მამა არ გაურბოდა რთულ ქირურგიულ შემთხვევებს, დაგვიანებულ კლინიკურ სიტუაციებს, „გადადებულ პაციენტებს“ . მსგავს შემთხვევებს არც მე გავურბივარ და ვთვლი, რომ ეს მამას დამსახურებაა, მან, როგორც აღირებულმა პედაგოგმა და ლექტორმა, მოახდინა, ალბათ, ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა. დღემდე მხვდებიან ყოფილი სტუდენტები, რომლებიც მის ლექციებს, ექსპრესიულობას, არტისტული გადმოცემის ნიჭს, დაუვიწყარ ორიგინალურ კლინიკურ მაგალითებს იხსენებენ. ჩემი პროფესიული საქმიანობის დიდი ნაწილი დღეს სწავლება და ლექციების კითხვაა. მამა ხშირად მახსენდება და ამ მხრივ, ის ჩემთვის შთაგონების წყაროა. ვცდილობ, მეც ისეთივე ლექციები მქონდეს, რომ დიდხანს ახსოვდეთ. საფრანგეთში წასვლამდე, მამასთან ერთად ვცხოვრობდი. ჩემი უცხოეთში წასვლა მისთვის მარტივი არ იყო, მაგრამ არასდროს გამიგია მისი ჩივილი ან პრეტენზია ამ თემაზე.

– წარმატებული ქართველი ექიმი, საფრანგეთში ენდოსკოპიური ქირურგიის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, მრავალფეროვანი საქმიანობით გამორჩეული ენდოსკოპისტი, შესაშურად მაღალპროფესიულ დონეზე რომ აკეთებთ ყველა სახის გინეკოლოგიურ ოპერაციას ამერიკის, აზიის, აფრიკისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ამასთან, სამშობლოს დიდი სიყვარულის და მადლიერების უკუგების შეგრძნებით, უანგაროდ ემსახურებით შობლიურ ქვეყანას. რამდენად პერსპექტიულად გესახებათ ურთიერთობის გაგრძელება ქართველ კოლეგებთან, საინტერესოა, რა მიმართულება მიეცემა ამ ორმხრივ ჩართულობას სამომავლოდ.

— ქართველ კოლეგებთან ურთიერთობის გაღრმავება ჩემი მთავარი პრიორიტეტია. წლების განმავლობაში ბევრი ქართველი ექიმი უკვე იმყოფებოდა სტაჟირებაზე ჩვენს კლინიკასა და სასწავლო ცენტრში, თითქმის ყველა, ვინც კი საქართველოში ლაპაროსკოპიულ გინეკოლოგიაში მოღვაწეობს, სხვადასხვა ვადით იმყოფებოდა ჩვენთან. ამასთან, თბილისში, კომპანია „შტორცის“ მხარდაჭერით, გაიხსნა სასწავლო ცენტრი – „კავკაზუსი“, სადაც შესაძლებელია ლაპაროსკოპიის საბაზო ტექნიკის ათვისება სიმულატორებზე, აქ სასწავლებლად ჩამოდიან ექიმები მეზობელი ქვეყნებიდანაც. ამ ცენტრის საქმიანობის გარკვეულ კოორდინაციას მე ვუწევ. კლერმონ-ფერანიდან რეგულარულად ვაწყობ ქირურგიული ოპერაციების ტრანსლიაციას, კომენტირებით და თბილისში მყოფ კოლეგებსაც საშუალება აქვთ, კითხვები დასვან. ამ ცენტრის ეგიდით, ყოველწლიურად, მინიმუმ, ერთხელ და ზოგჯერ – ორჯერაც, ჩემი ევროპელი მეგობრებისა და ცხობილი ექსპერტების მონაწილეობით, საქართველოში ვატარებთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, მომავალ წელს 2 ასეთ კონფერენციას ვგეგმავთ მსოფლიოში აღიარებული ქირურგების მონაწილეობით. გარდა ამისა, რეგულარულად ვმონაწილეობ სხვადასხვა კლინიკის ბაზაზე ქართველი კოლეგების მიერ ორგანიზებულ კონფერენციებშიც. ჩემი მეგობრის, ვადიმ ხატიაშვილის, მასპინძლობის წყალობით, წელიწადში 2–3- ჯერ, რამდენიმე დღის განმავლობაში, ოპერაციებს ვაკეთებთ თბილისში; ამ ოპერაციებსაც რეგულარულად ესწრებიან ქართველი კოლეგები და მაქსიმალურად ვცდილობ, გამოცდილების გაზიარებას. მომავლის პერსპექტივაში სასურველი იქნებოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და კლერმონ-ფერანის უნივერსიტეტს შორის ოფიციალური თანამშრომლობის გაფორმება, რათა სტუდენტებსაც შეეძლოთ ჩამოსვლა და ფრანგულ სასწავლო სისტემაში ჩართვა.

– არცთუ იშვიათად, ქართველი მედიკოსები თანამედროვე გამოწვევების ავანგარდში არიან, თუმცა, ამ მხრივ ჩვენთან ცოტა როდია გასაკეთებელი და დასახვეწი. რის მოგვარებას მიიჩნევთ პირველსაქმედ, უფრო თანამედროვე და ეფექტური რომ გახდეს მკურნალობა; ამასთან, ვიცით, რომ საფრანგეთში ბევრს აკეთებთ ახალგაზრდა ქართველი თანამემამულეების პროფესიული ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით.

— ლაპაროსკოპიული ქირურგია მაღალტექნოლოგიური დარგია, მაგრამ დღეს ტექნოლოგიის შეძენა პრობლემას აღარ წარმოადგენს. საქართველოს ბევრ კლინიკაში უკანასკნელი თაობის აპარატურა დგას. ამავდროულად, კლინიკური აზროვნების, პაციენტთან ურთიერთობის, სამედიცინო პროცესის ზოგადი ორგანიზაციის მხრივ, სამწუხაროდ, ბევრგან გარკვეული ინერციაა. სასურველი იქნებოდა, რომ ქართველი კოლეგები უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან ან, ზოგადად, სტუმრობდნენ უცხოთის კლინიკებს, ესწრებოდნენ დიდ და სერიოზულ კონგრესებს. აპარატურის განვითარების პარალელურად, თავად ქირურგიული მეცნიერებაც ძალზე სწრაფად ვითარდება და იცვლება. ბევრი სიახლეა, თუნდაც, ოპერაციული და პოსტოპერაციული პერიოდის მართვის, ადრეული რეაბილიტაციის თვალსაზრისით. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ზოგ ადგილას პაციენტების მოვლის, პოსტოპერაციული პერიოდის მართვის, პრეპარატების დანიშვნის საკითხებში საბჭოთა პერიოდის დროინდელი მიდგომებია შემორჩენილი და ესეცაა გამოსასწორებელი.

– საინტერესოა, რამდენად „დამორჩილებადი“ გახდა დღეს გინეკოლოგიური დაავადებები; რამდენადაა ხელმისაწვდომი ქართველი პაციენტისთვის მაქსიმალური შედეგის მიღება?

— ბევრი გინეკოლოგიური პათოლოგია დღეს დამორჩილებულია ცივილიზირებულ სამყაროში. ისეთი მძიმე პათოლოგია, როგორიცაა საშვილოსნოს ყელის კიბო, ევროპაში იშვიათობაა, ხოლო ავსტრალია პირველი ქვეყანა გახდება, სადაც ეს პათოლოგია პრაქტიკულად აღარ იარსებებს და ეს შესაძლებელი გახდა საყოველთაო სკრინინგისა და პროფილაქტიკური აცრების წყალობით. საფრანგეთში სპეციალური სისტემაა, რომელიც ქალებს შეტყობინებას, შეხსენებას უგზავნის, რათა პაპ-ტესტი რეგულარად გაიკეთონ და ეს უკვე კულტურაში, ჩვევაშია გამჯდარი, პაპტ-ტესტის რეგულარული გაკეთება. საზოგადოებასაც ასეთი მიდგომა ბევრად უფრო იაფი უჯდება, ვიდრე საშვილოსნოს ყელის კიბოს მკურნალობა. მსოფლიოში პირველი ლაპაროსკოპიული ვერტჰეიმის ოპერაცია, სწორედ, კლერმონ-ფერანში გაკეთდა 1989 წელს; დღეს კი ჩვენთან ეს ოპერაცია უიშვიათესია. ეს უდიდესი პროგრესია. ოპერაცია ხშირად პრევენციისა და თერაპიის წარუმატებლობის შედეგია და სწორედ პრევენციის მიმართულებით საქართველოში ძალიან ბევრია კიდევ გასაკეთებელი.

და ბოლოს, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე ძნელი ამოცანაა თანამედროვე, მსოფლიოში გამოცდილი, სამედიცინო სწავლების მე- 3 ციკლის, ანუ რეზიდენტურის, სრულფასოვანი სისტემის ჩამოყალიბება. რეზიდენტი უნდა გახდეს ჰოსპიტალური სისტემის მთავარი ელემენტი, ისე, როგორც ეს ცივილიზირებულ სამყაროშია, პასუხისმგებლობითა და დამსახურებული ხელფასით. ფასიანი რეზიდენტურა ნოხსენსად მიმაჩნია. მომავალის სპეციალისტის სწავლება ვალდებულება უნდა იყოს და არასაკმაოდ იშვიათად გამოხატული „კეთილი ნების“ წყალობა.

– მადლობა დროის გამონახვისა უაღრესად დატვირთულ პერიოდსა და სიტუაციაში. წარმატებებს გისურვებთ საერთაშორისო ასპარეზზე, დროისა და მანძილის მიუხედავად, დიდი ქართული საქმეების კეთებასაც რომ ახერხებთ თბილი გულით და სუფთა სინდისით.

დარეჯან კომლაძე

რეიტინგით პირველი

2018 წლის სექტემბერში, როგორც ყოველ წელს, კვლავ მაღალრეიტინგულმა აბიტურიენტებმა აიხდინეს ოცნება და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები გახდნენ. თეკლე დოლიძე მათში კიდევ უფრო გამორჩეულია, რადგან ყველაზე მაღალი ქულებით ჩაირიცხა ჩვენს უნივერსიტეტში. ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე თეკლეს, ათ მაღალრეიტინგულ პირველსემესტრელთან ერთად, უნივერსიტეტის თვითმმართველობამ საჩუქრად სახელმძღვანელოები და სამახსოვრო საჩუქრები, ხოლო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ, პერსონალური კომპიუტერი, ლეპტოპი, გადასცა.

ამაღელვებელი და შთამბეჭდავი იყო ვიდეო, რომელიც თეკლეს თსსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის სამსახურმა დაახვედრა: მშობლიური ქალაქიდან, ბათუმიდან, ოჯახის წევრებმა და პედაგოგებმა გოგონას სტუდენტობა მიულოცეს...

სწორედ ამ ულამაზესი ქალაქის გახსენებით დაიწყო ჩვენი საუბარი, რომელთანაც განშორება თეკლეს წლების წინ მოუხდა და, მიუხედავად იმისა, რომ გაუჭირდა, ფიქრობს: ეს მაშინ სწორი და დროული იყო... 12 წლის ასაკიდან გოგონა თბილისში, კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის 119-ე საჯარო სკოლაში აგრძელებს სწავლას, დამამთავრებელ კლასში კი უკვე გადაწყვეტილებას იღებს — პროფესიული არჩევანი მედიცინას დაუკავშიროს... რატომ? — გარდა იმისა, რომ გასათვალისწინებელი იყო დედის სურვილი, რაც სრულიად ბუნებრივია — დედა ხომ ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანია მის ცხოვრებაში — დამოუკიდებელი გოგონა მაინც თვითონ მივიდა ექიმობის გადაწყვეტილებამდე; თეკლეს მოსწონს, რომ მომავალი პროფესია დინამიკური და განვითარებადია, რომ „არასოდეს მთავრდება სიახლეები“, თანაც ექიმობა საშუალებას გაძლევს დაეხმარო ადამიანებს, შეუნარჩუნო მათ ყველაზე ძვირფასი – სიცოცხლე და ჯანმრთელობა...

მისაღები გამოცდების დაძლევა ნიჭიერი და მიზანსწრაფული გოგონასთვის რთული არ აღმოჩნდა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კი მოლოდინს გადააჭარბა – აქ ხომ ასე თბილად დახვდნენ და მუდმივად გრძნობს კეთილგანწყობას... სწავლის დაწყებისთანავე იმასაც მიხვდა, რომ ადვილი არ იქნებოდა განსხვავებულ რეჟიმზე გადასვლა, მხოლოდ რამდენიმე დღე გაუჭირდა და ახლა უკვე გაითავისა, მოირგო, შეიყვარა აქაურობა... იმედი აქვს, სტუდენტობის წლები დაუვიწყარი იქნება მის ცხოვრებაში...

სხვა ინტერესები? – რა თქმა უნდა, ჩვენი მრავალმხრივი რესპონდენტი შეუძლებელია მხოლოდ ერთი მიმართულებით ვითარდებოდეს: ხელოვნების სიყვარული, კითხვა და მუსიკა ეხმარება გაექცეს ყოველდღიურ რუტინას; გაგვიმხილა, რომ ისე, „თავისთვის“, წერს, ხატავს კიდეც, უყვარს ქუჩაში სეირნობა: „მამშვიდებს ქალაქის რიტმის ყურება, დადებით განწყობას მიქმნის და სახლშიც ენერგიით და ხალისით აღსავსე ვბრუნდები“.

ჯერ არ გადაუწყვეტია რა გზით წავა მედიცინაში, თუმცა კარგად იცის, რომ ბევრი შრომა დასჭირდება წარმატებისთვის; გონიერება, შრომისმოყვარეობა, ძიებისკენ მუდმივი სწრაფვა მხოლოდ დაეხმარება მიზნის მიღწევაში...

ხშირად უფიქრია იმაზე, თუ როგორი იქნება წლების შემდეგ: „როცა მომავალზე ვფიქრობ, ჭაღარაშერეულ, თეთრხალათიან ქალს წარმოვიდგენ, ფურცლებში ჩაფლულს და ისევ ამოუხსნელი საკითხების კვლევით დაკავებულს“...

მედიცინის რთულ გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი უკვე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია, მისი ნიჭის და მაძიებელი ბუნების გათვალისწინებით კი, ეჭვიც არ გვეპარება: წინ მიგნების სიხარულით გასხივოსნებული ლამაზი წუთები, საინტერესო და წარმატებული მომავალი ელის.

ნატო გოლქვაძე

პროფესორ დავით კვაჭაძის გახსენება

90 წელი შესრულდა სამედიცინო მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, სახელოვანი ფარმაკოლოგის, წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგის, პედაგოგის, არაჩვეულებრივი პიროვნების, პროფესორ დავით კვაჭაძის დაბადებიდან.

თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნიკოლოზ გონგაძე სამაგალითო პედაგოგის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში ყურადღებას ამახვილებს ბატონი დავით კვაჭაძის პროფესიულ თუ პიროვნულ ღირსებებზე, მასზე, როგორც სამედიცინო უნივერსიტეტის დიდ ამაგდარზე — ბატონი დავითი ხომ იმ ადამიანთა გვერდით მოიაზრება, რომელთა მაგალითზეც იზრდებოდნენ თაობები, ვინც ქმნიდნენ სამედიცინო მეცნიერების და განათლების, შესაბამისად — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიას...

35 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა ცნობილი ფარმაკოლოგი, პედაგოგი, ინტელექტუალი და არაჩვეულებრივი პიროვნება, თსსუ-ის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი დავით კვაჭაძე. ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ და, მთლიანად, ინტელიგენციამ დაკარგა გამორჩეული ნიჭის მქონე სპეციალისტი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

ბატონმა დავით კვაჭაძემ, ბედის უკუღმართობით, ნაადრევად, 54 წლის ასაკში, დატოვა წუთისოფელი და დაგვიტოვა დარდი, ნაღველი და მასთან დაკავშირებული მოგონებანი. იგი გახლდათ მაღალპროფესიონალი, ძალზე ერუდირებული და კომუნიკაბელური პიროვნება. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში მოღვაწე ლექტორებიდან ის იყო ერთ-ერთი უსაყვარლესი ლექტორი სტუდენტებისათვის, ანალოგიურ დამოკიდებულებას გრძნობდნენ სტუდენტებიც მისი მხრიდან. ნებისმიერ სტრესულ თუ ექსტრაორდინალურ სიტუაციაში მყოფი ახალგაზრდა უყოყმანოდ მიმართავდა ბატონ დავითს და ყოველთვის იღებდა მისგან სათანადო რჩევა-დახმარებას. პროფესორი დავით კვაჭაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან სახელოვნად გააგრძელა თავისი წინამორბედების მოღვაწეობა და ჩამოაყალიბა მეტად მონოლითური, ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული კოლექტივი. მასთან ძალიან ადვილი იყო კონტაქტში შესვლა, ვინაიდან თვითონ გიხსნიდა დაძაბულობას და მაქსიმალურად გამოხატავდა კეთილმოსურნეობას. როდესაც სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კონკურსით ამირჩიეს ფარმაკოლოგიის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე, ერთ-ერთი პირველი, რომელიც მხარში ამომიდგა და ჩემი მასწავლებლის ფუნქცია იკისრა, ბატონი დავითი გახლდათ. მას არ უყვარდა თანამშრომლებთან სუბორდინაციული დამოკიდებულება, ვინაიდან ყველა თანამშრომელი ისედაც უაღრესად დიდ პატივს სცემდა და ძალიან უყვარდათ. პირადად ჩემთვის ბატონი დავითი უფროსი მეგობარი გახლდათ, რომელთანაც ნებისმიერ თემაზე შეიძლებოდა საუბარი. აღსანიშნავია, რომ არაჩვეულებრივ ლექტორთან ერთად პროფესორი დავით კვაჭაძე იყო ბრწყინვალე ექსპერიმენტატორი „ოქროს ხელებით“, რომელსაც ექსპერიმენტი, პრაქტიკულად, არ უფუჭდებოდა. ჯერ კიდევ იმ პერიოდში ცხოველებთან მოპყრობის ეთიკური პრინციპები ჰიპერბოლიზებული ჰქონდა და არ ერიდებოდა მათ მოვლას, რაც არ შედიოდა მის ფუნქციაში. მან შემაყვარა ექსპერიმენტი, რამაც დიდი როლი შეასრულა შემდგომ ჩემს, როგორც ფარმაკოლოგის, ფორმირებაში. ბატონ დავითს ჰქონდა ახალი ფარმაკოლოგიური მიმართულების შერჩევის იშვიათი ალღო, რაც მის განსწავლულობასა და დიდ ნიჭზე მეტყველებდა. იგი არ ერიდებოდა ახალგაზრდა სპეციალისტის კონტაქტს ან გაგზავნას სხვა დაწესებულებაში, რათა ამ უკანასკნელს დამატებით ყველა პოზიტივი გადმოეღო და გაემდიდრებინა თავისი ცოდნა. იშვიათია ისეთი წესიერი, პატიოსანი და სადა ადამიანი, როგორიც ბატონი დავითი გახლდათ. თუ რაიმე საარბიტრაჟო კომისია შეიქმნებოდა იმდროინდელ სამედიცინო ინსტიტუტში, მას აუცილებლად ჩართავდნენ ხოლმე, რაზეც ყოველთვის უკმაყოფილებას გამოხატავდა (ბუზღუნებდა), ვინაიდან პროფესიულ მოღვაწეობაში ხელი ეშლებოდა. პროფესორ დავით კვაჭაძის კალამს ეკუთვნის მრავალი ათეული სამეცნიერო პუბლიკაცია, გამოქვეყნებული როგორც ყოფილ სსრკ-ში, ისე — საზღვარგარეთ. ის გახლდათ მრავალი კონგრესის, კონფერენციის და ყრილობის მონაწილე. მისი გამოგონება, რომელზეც სსრკ-ს პატენტი აქვს მიღებული — „ნათხემის ბირთვების გაღიზიანებით გამოწვეული ცენტრალური გენეზის გულის არითმია“ — მეტად ორიგინალურ მოდელად ჩაითვალა და საყოველთაო აღიარება ჰპოვა. ბატონი დავითი, ამავე დროს, გახლდათ დიდი ინტელიგენტი და გამორჩეულად წესიერი პიროვნება. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ მისი წინამორბედის, გამოჩენილი ფარმაკოლოგის, პროფესორ გრიგოლ გვიშიანის, გარდაცვალების შემდეგ კათედრის გამგის რანგში მყოფი ბატონი დავითი ერთი წლის განმავლობაში არ შესულა მის კაბინეტში, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ გააჩნდა შესაფერისი ოთახი, სადაც თუნდაც თანამშრომელთა კრებას ჩაატარებდა (ჰქონდა მხოლოდ პატარა ოთახში განთავსებული ლაბორატორია). სამწუხაროა, რომ ბატონ დავითს, ბედის უკუღმართობის გამო, არ ეღირსა სათანადო კაბინეტი, II სასნავლო კორპუსი ხომ ხანძარმა მთლიანად დააზიანა, რის შემდეგაც ჩვენი კათედრა პათოლოგიური ანატომიის კათედრამ შეიკედლა, აკადემიკოს თამარ დეკანოსიძის ხელმძღვანელობით, რისთვისაც ახლა, კიდევ ერთხელ, დიდ მადლობას ვუხდი მათ შესანიშნავ კოლექტივს. მძიმე, მუხანათურმა სენმა ახალგაზრდა ასაკში მოუსწრაფა სიცოცხლე ბატონ დავითს, რამაც თავზარი დასცა იმდროინდელი ფარმაკოლოგიის კათედრის თანამშრომლებს, სტუდენტებს და, მთლიანად, სამედიცინო ინსტიტუტს. მისმა გარდაცვალებამ დიდი რეზონანსი ჰპოვა სსრკ-ის ფარმაკოლოგთა ელიტურ წრეში და ორდინალურ ფარმაკოლოგთა შორისაც. საოცარია, როგორ მოახერხა ამ ადამიანმა თავისი მოღვაწეობის არც თუ ისე დიდი ხნის განმავლობაში ასეთი დიდი სიყვარულის და პატივისცემის დამსახურება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. სხვებისგან განსხვავებით, მისთვის დისტანციური ზღვარი წაშლილი იყო ე.წ. „ბობოლა“ სსრკ ფარმაკოლოგებთან მიმართებაში და თუკი მე მომიხდებოდა მათთან კონტაქტი, აუცილებლად მოიკითხავდნენ ხოლმე მას. მახსოვს, ქალაქ ერევანში გაიმართა ფარმაკოლოგთა ყრილობა, სადაც მოსკოვიდან, ორგკომიტეტის მიერ, ფეშენებელური ავტომობილი იყო გამოყოფილი გამორჩეული სტუმრების დასახვედრად აეროპორტში. როდესაც ჩვენმა სომეხმა კოლეგებმა ბატონი დავითი დაინახეს (მე და პროფესორი გივი თურმანაული ვახლდით თან), გადაეხვივნენ მას და ეს ავტომობილი (მძღოლის გასაკვირად) ჩვენსკენ მომართეს უაღრესად დიდი პატივის გამოსახატად.

ბატონმა დავით კვაჭაძემ საფუძველი ჩაუყარა ახალ ფარმაკოლოგიურ მიმართულებას, რომელიც ეხებოდა ენდოგენური ოპიოიდების ფარმაკოლოგიური ეფექტების შესწავლას და მათ მოდიფიკაციას, რომლის ბაზაზეც შემდგომში დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია სანკტ-პეტერბურგში (იმდროინდელ ქ. ლენინგრადში).

თავისი უდროო წასვლით ბატონმა დავითმა ანდერძად დაგვიტოვა სწრაფვა პროფესიონალიზმისა და პატიოსნებისკენ, რასაც თავის დროზე მას წინამორბედი პედაგოგები ასწავლიდნენ: აკადემიკოსი პეტრე სარაჯიშვილი, პროფესორი გიორგი ცქიმანაური და პროფესორი გრიგოლ გვიშიანი. ჩვენთან ერთად მისი დაკარგვა ძალიან განიცადა მისმა სამეგობრო წრემ, ქართული ბიოსამედიცინო მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა, პროფესორებმა: გურამ ბექაიამ, ლემა ზირაქიშვილმა, თეიმურაზ ჩირგაძემ, კიაზო ნადარეიშვილმა, ვახტანგ მოსიძემ, ვალერიან ჩიკვაიძემ, საურმაგ ბუთხუზმა და სხვებმა. სამწუხაროდ, ბატონი დავითი, დღეს აღარ არის ჩვენთან ერთად, მაგრამ მან დატოვა შესანიშნავი ოჯახი მეუღლის, ბრწყინვალე პიროვნების, ქალბატონი ჯენაროს და ჩვენი ძვირფასი კოლეგის, პროფესორ ირინა კვაჭაძის სახით, რომელიც რუდუნებით უფრთხილდება სახელოვანი მამის სახელს, რაც მანიფესტირდება მის მაღალპროფესიონალურ სასწავლო-სამეცნიერო და წარმატებულ ადმინისტრაციულ მოღვაწეობაში.

სამწუხაროდ, გაზეთის ფორმატი არ იძლევა საშუალებას კიდევ უფრო მეტი დრო დავუთმო ბატონ დავითზე საუბარს, რასაც იგი, უდავოდ, იმსახურებს. ბატონო დავით, თქვენი ამაგი კათედრის თანამშრომლების და ჩემ მიმართ განუზომლად დიდია, ამიტომ თუ ყველა სურვილი თქვენს სიცოცხლეში ვერ აგისრულეთ, ამ ვალს აუცილებლად იმქვეყნად გაგისტუმრებთ.

პროფესორი ნიკოლოზ გონგაძე,
თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ისტორია – ტკივილი

25 წელი სოხუმის დაცემიდან

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეზოში მემორიალია აღმართული, რომელსაც იმ სტუდენტების სახელები აწერია, აფხაზეთში, უთანასწორო ბრძოლაში რომ დატოვეს სიცოცხლე. მათმა ხანმოკლე, მაგრამ უმნიშვნელოვანესმა ცხოვრებამ აღიბეჭდა სრული სახე და ტკივილი გასული საუკუნის ბოლო წლების საქართველოსი. მათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებსა და მომავალ ექიმებს, სჯეროდათ ქართველების და აფხაზების შინაგანი ერთობის, სამშობლოს უალტერნატივო ერთიანობის აუცილებლობის, როგორც ხვალინდელი დღის მთავარი დასაყრდენისა და ქვეყნის თავისუფლების აუცილებელი პირობის.

მათ თქვეს თავისი სიტყვა სამშობლოს სამსახურში...

ყოველწლიურად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ამ საკრალურად ქცეულ ადგილზე, სადაც მემორიალია აღმართული იკრიბებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები და უდიდესი მოწიწებით მიაგებენ პატივს აფხაზეთის ტერიტორიაზე, უთანასწორო დაპირისპირების დროს შეწირულ სტუდენტებს.

წელსაც, სოხუმის დაცემიდან 25 წლისთავზე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები, ომში დაღუპული სტუდენტების მშობლები, ოჯახის წევრები და მეგობრები, თსსუ-ის კურსდამთავრებულები — აფხაზეთის ომის ვეტერანები, ტრადიციულად, აფხაზეთის ომში დაღუპული სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების: გიორგი მირონაძის, ილია მელაძის, ვასილ კილაძის, ნიკოლოზ ღიბრაძისა და რევაზ მუმლაძის სახელების უკვდავსაყოფად აღმართულ მემორიალთან შეიკრიბნენ.

25 წლის წინ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო დიდი მწუხარება გამოთქვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ:

„დღეს აქ შევიკრიბეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორები, ომში დაღუპული სტუდენტების მშობლები, ომის ვეტერანი სტუდენტები, რომლებმაც გამოიარეს დიდი განსაცდელი ბრძოლის ველზე, ჩვენს გვერდით არიან ახალგაზრდები - ჩვენი სტუდენტები, რაც ძალიან მახარებს.

შევიკრიბეთ იმისთვის, რომ გავიხსენოთ ის ტრაგიკული დღე, რომელმაც არა მარტო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას დაასვა დაღი, არამედ თითოეულ ჩვენს მოქალაქეს დაუტოვა მოუშუშებელი იარა.

ეს იყო ყველაზე ტრაგიკული დღე საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს ულამაზესი კუთხის, აფხაზეთის, საქართველოდან სამუდამოდ ჩამოშორების მცდელობასთან, 13 თვიანი და 13 დღიანი - რუსეთის მიერ თავსმოხვეული ომის შედეგად, დაეცა სოხუმი...

აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ვინ არის ჩვენი მტერი, მკვეთრად უნდა დავაფიქსიროთ, რომ იგი ოკუპანტია და ამ ოკუპაციას დღესაც აგრძელებს!

ჩვენი გმირი სტუდენტების ღირებულებები უნდა ვაქციოთ ჩვენი ცხოვრების ღირებულებებად. ოკუპაციას უნდა ვებრძოლოთ მშვიდობიანი გზებით, ვიზრუნოთ ურთიერთობის განვითარებაზე და საერთო ინიციატივების განხორციელებაზე აფხაზებთან ერთად. მათ აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ქართული სახელმწიფოს სიკეთეებით, ჯანდაცვის და საგანმანათლებლო პროგრამებით, ვიზალიბერალიზაციით და ა.შ.

სიტყვის დასასრულს მინდა გაგახსენოთ ერთ-ერთი გმირი სტუდენტის დედის სიტყვები და მოგმართოთ, განსაკუთრებით, სტუდენტებს: „აფხაზები ჩვენი მტრები არ არიან! თქვენ, ახალმა თაობამ უნდა გაუწოდოთ ხელი მათ! ჩვენ ერთი ოჯახის წევრები ვართ!“

შეკრებილებს სიტყვით მიმართეს: თსსუ-ის სამედიცინო ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნიკოლოზ გონგაძემ, თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, აფხაზეთის ომის ვეტერანმა ზურაბ ლეშკაშელმა და თსსუ-ის კურსდამთავრებულმა, აფხაზეთის ომის ვეტერანმა თადარიგის პოლკოვნიკმა, სამხედრო ექიმმა — ლაშა ქოიავამ, რომლებმაც გაიხსენეს აფხაზეთში მებრძოლი სტუდენტების თავგანწირვის და გმირობის მაგალითები.

საზოგადოებას დიდი მადლობა გადაუხადა ომში დაღუპული გმირის, თსსუ-ის ყოფილი სტუდენტის, ნიკოლოზ ღიბრაძის დედამ, ქალბატონმა ნანა ბეგიშვილმა:

„25 წელი გავიდა ომიდან, 25 მძიმე წელი. მაგრამ ის, რომ დღეს ჩემი შვილი საზოგადოებას ომში დაღუპულ უიარაღო მეომრად ახსოვს, ეს ჩემთვის საამაყოა. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ზურაბ ვადაჭკორიას მემორიალის აღმართვისთვის. ეს ჩვენთვის დიდი პატივია, მიხარია რომ თაობებს გადაეცემა ბიჭების გვარები და მათთვის სამაგალითოებად დარჩებიან.“

აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების კურსი თსსუ-ში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის, პროფესორ ზაზა ბოხუასა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ქალბატონ ქეთევან ბაკარაძის, ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტმა ორგანიზება გაუწია აფხაზეთის ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული საშუალო სამედიცინო პერსონალის (ექთნების) გადამზადების კურსს.

კურსის ფარგლებში, თსსუ-ის კლინიკურ ბაზებზე, ასევე, კლინიკური უნარებისა და მულტიდისციპლინური სიმულაციის ცენტრში, ექთნებს ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით: პაციენტთან კომუნიკაცია და კონსულტირება, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა, ინფექციის კონტროლის პრინციპები, პირველადი გადაუდებელი დახმარება, პაციენტის თერაპიული, ქირურგიული და პედიატრიული პრობლემები, საექთნო საქმის კლინიკური უნარ-ჩვევები.

„გადამზადების კურსი წარმატებით ჩატარდა, ტრენინგში მონაწილე ექთნები გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობით და, ამასთანავე, შესაშური მონდომებით. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აფხაზეთზე უსაზღვროდ შეყვარებულები უანგაროდ ემსახურებიან საკუთარ ხალხს“, — აღნიშნა თსსუ-ის პროფესიული პროგრამების კოორდინატორმა, ქალბატონმა მედეა ჯღარკავამ.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ პროექტში მონაწილე ექთნებმა, დიდი მადლიერება გამოხატეს პროექტის ინიციატორების და ორგანიზატორების მიმართ.

კანცლერმა ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს დაშავებული თსსუ-ის სტუდენტი მოინახულა

მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კანცლერმა, პროფესორმა ზურაბ ორჯონიკიძემ კლინიკაში მოინახულა თსსუ-ის პირველი სემესტრის სტუდენტი ლადო გაბეჩავა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს დაშავდა. პაციენტს ჩაუტარდა შესაბამისი მკურნალობა და ამჟამად მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბატონმა ზურაბმა დიდი მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ყველა წარმომადგენელს და მკურნალთა გუნდს, რომლებმაც არ დაიშურეს ძალისხმევა და ენერგია ლადოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად -,,ავტოსატრანსპორტო შემთხვევის პირველივე დღიდან უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ლადო გაბეჩავას მკურნალობის პროცესში, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ახალგაზრდები.

ბატონმა ზურაბ ორჯონიკიძემ გაამხნევა სტუდენტი, მალე გამოჯანმრთელება უსურვა მას და მორალური მხარდაჭერის გარდა, უნივერსიტეტის სახელით, მატერიალური დახმარებაც აღმოუჩინა.

უნივერსიტეტში უნდა დაიწყოს აქტიური კამპანია სტუდენტებში ინფორმაციის გავრცელებისა და საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით, რათა მაქსიმალურად მოხდეს მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილება და პრევენცია, — განაცხადა თსსუ-ის კანცლერმა ზურაბ ორჯონიკიძემ.

www.tsmu.edu

სისხლის უანგარო დონაცია

11 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სისხლის უანგარო დონორთა საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში სისხლის დონაციის აქცია გაიმართა.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი "სტუდენტები სტუდენტებისათვის", მათი სლოგანი კი იყო ,,გაიღე სისხლი — შენთვის წვეთი სხვისთვის სიცოცხლეა!"

11 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ნაციონალური სისხლის ბანკის 2 ბრიგადა გამოცხადდა. მთლიანობაში 55 ადამიანმა გაიღო სისხლი. დონორთა უმეტესობას თსსუ-ის სტუდენტები წარმოადგენდნენ. სისხლი ასევე ჩააბარეს თსსუ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა.

ორგანიზატორთა მთავარი მიზანი იყო სისხლის ჩაბარების მნიშვნელობის ხაზგასმა და უანგარო დონაციის პოპულარიზაცია.

www.tsmu.edu

სახალისო თამაშები პირველსემესტრელებისთვის

23 სექტემბერს, თსსუ-ის ადმინისტრაციამ განსაკუთრებული ღონისძიება მოუწყო პირველსემესტრელებს. გართობისა და დასვენებისთვის შექმნილ „Orbeti green space"- ში 300 პირველსემესტრელისთვის გაიმართა სახალისო თამაშები: მხიარული თამაშების ჩემპიონატი, ბუშტების ფეხბურთი და სხვა. სტუდენტებს, სწავლის დაწყება მიულოცეს თსსუ-ის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარმა სპეციალისტებმა: მიხეილ დიაკონიძემ და თამარ საგანელიძემ. გამარჯვებულებს სამახსოვრო სერტიფიკატები, მედლები და თასები გადაეცათ.

ღონისძიების ორგანიზატორი სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური იყო, მხარდამჭერი — საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის სამსახური. სამომავლოდაც, სტუდენტებისთვის არაერთი ღონისძიება იგეგმება.

თსსუ-ის სახალხო ანსამბლის წარმატება საბერძნეთსა და ბელგიაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გულშემატკივრები არაერთხელ გაახარა სპორტისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლის (ხელმძღვანელი, თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილე - ბადრი მაჭავარიანი) წარმატებებმა ჩვენს ქვეყანასა თუ უცხოეთში. უნდა აღინიშნოს ანსამბლის წარმატებული საგასტროლო ტურნეების შესახებ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში: იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში...

ამჯერად, სპორტის და ხელოვნების ცენტრთან არსებული სახალხო ანსამბლი ევროპის ფოლკლორულ ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად, უკვე მერამდენედ, საბერძნეთსა და ბელგიაში გაემგზავრა...

აღსანიშნავია, რომ საბერძნეთში ფესტივალის ორგანიზატორი და პრეზიდენტი გახლდათ ექიმი კარდიოლოგი, პროფესორი გიორგიო კოუტსაკისი, რომელმაც, ფესტივალის მსვლელობის პერიოდში, თსსუ-ის სტუდენტებს საინტერესო შეხვედრა მოუწყო ქ. სერესის რეგიონულ კლინიკაში; სასიხარულო იყო, რომ ჩვენს სტუდენტებთან თარჯიმნად მოწვეული ექიმი, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ირინა მჟავანაძე აღმოჩნდა, რომელიც კარგად იცნობდა ანსამბლის ხელმძღვანელობას და ახსოვდა სახალხო ანსამბლის წარმატებული კონცერტები. მან დიდი სიყვარულით გაიხსენა თსსუ-ში გატარებული წლები და პედაგოგები, რომლებმაც მასზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინეს.

ქალბატონმა ირინამ, ბერძენ კოლეგებსა და კლინიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელებთან ერთად, ჩვენს სტუდენტებს დაათვალიერებინა კლინიკის ყველა განყოფილება და ლაბორატორია. ბერძენი კოლეგები გააკვირვა და მოხიბლა ქართველი სტუდენტების განსწავლულობამ მედიცინაში, რომლებიც პროფესიულ შეკითხვებს ინგლისურ ენაზე პასუხობდნენ.

კონცერტმა, რომელსაც ესწრებოდნენ ქ. გეფიროუდის და ქ. სერესის მერები, კლინიკის ექიმები და რეგიონის თვალსაჩინო წარმომადგენლები, დიდი წარმატებით ჩაიარა. მეორე დღეს ანსამბლის ხელმძღვანელი, ბატონი ბადრი მაჭავარიანი, ანსამბლის წევრები და სტუდენტი, ბელა ნიშნიანიძე, მიიწვიეს საბერძნეთის ნაციონალურ რადიოში. ინტერვიუ ბერძნულ-ქართულ ურთიერთობებს, ქართველი და ბერძენი ხალხის მრავალწლოვან მეგობრობას შეეხო.

საბერძნეთის შემდეგ ანსამბლი ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ბელგიაში გაემგზავრა, სადაც მონაწილეობდნენ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნების ანსამბლები. ჩვენი ქვეყნის ნაციონალურმა ცეკვებმა და სიმღერამ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და ბელგიის ტელევიზიამ საგანგებო სიუჟეტიც მიუძღვნა ანსამბლის გამოსვლას.

ანსამბლის წევრებმა დაათვალიერეს ბუდაპეშტი და ბრიუსელი, დაისვენეს ეგეოსის ზღვაზე და შთაბეჭდილებებით აღსავსენი და გამარჯვებულები დაბრუნდნენ სამშობლოში.

ანსამბლის წარმატებაში ხელმძღვანელთან, ბატონ ბადრი მაჭავარიანთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის მთავარ ქორეოგრაფს - დავით უგრეხელიძეს, ასევე, ქორეოგრაფ - ინეზა კუპრეიშვილს, ლოტბარს — დავით რატიანს (უმცროსი) და ხალხურ საკრავთა ჯგუფის ხელმძღვანელს — დავით რატიანს.

ანსამბლში გაერთიანებული სტუდენტობა, ანსამბლის ხელმძღვანელობა, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექცია დიდ მადლობას უხდის თსსუ-ის რექტორს, კანცლერს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გულისხმიერების, ყურადღებისა და ხელშეწყობისთვის, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტთა შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისა და განვითარებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ევროპაში წარმატებული კონცერტების შემდეგ ანსამბლის ხელმძღვანელობას და მის წევრებს დიდი სურვილი აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც მიაშურონ და იქაც აღაფრთოვანონ მაყურებელი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით კი, გვჯერა, ეს დღეც არ არის შორს და ოკეანის გაღმაც ჩვენი მოცეკვავეები დიდ მოწონებას დაიმსახურებენ...

კიდევ ერთი პატარა დეტალი, რამაც ყურადღება მიიქცია ბატონი ბადრის მონათხრობიდან: სურათებზე აღბეჭდილი კადრები უცნობ ამერიკელ ფოტოხელოვანს ეკუთვნის, რომელმაც ანსამბლის ხელმძღვანელობას თავად გაუგზავნა ეს არაჩვეულებრივი ფოტოები პატივისცემის და აღტაცების დასტურად... გასაკვირი არაა, რომ უცხოელ პროფესიონალზე წარუშელი შთაბეჭდილება მოახდინა ულამაზეს, სრულყოფილ მოძრაობაში განსხეულებულმა უკვდავმა ეროვნულმა სულმა, რასაც დიდმა მწერალმა ასე ხატოვნად უწოდა „როკვით განფენილი ქართული გენია"...

ნატო ბოლქვაძე

„სამედიცინო გაზეთის"
რედაქცია
ვაჟა-ფშაველას
გამზირი №33,
ოთახი №600,
ტ.: 254-24-64
რედაქტორი
ლელა მუკბანიანი
კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.:555 29 98 27
დარეჯან კომლაძე
ტ.:558 17 08 47
ნატო ბოლქვაძე
ტ.:555 28 28 97
ელ-ფოსტა
newspapertsmu@gmail.com